გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№57 (952) 2 - 3 ივნისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## სიგარეტზე აქციზის გადასახადი იზრდება



გვ. 6

# ზაქარია ფალიაშვილის რძალი ნიკა მელიასა და გიგლა აგულაშვილს ქონების წართმევაში ადანაშაულებს



ალიძვრება თუ არა საქმე უმრავლესობისა და უმცირესობის სახეებზე

გვ. 4

# ლევან ვასაძის ფარული გეგმები



გვ. 5

არჩილ გამზარდია: „ვასაძე სრულიად გაუგებარი საოცრებაა და არსებობს საშიშროება, ქართველ კაციროვად ჩამოყალიბდეს!“

## „აფხაზეთი რუსეთის ნაწილი მაქსიმუმ ორ წელში გახდება!“

რა კულუარულ ინფორმაციას ფლობს პაატა დავითაია სოხუმში მიმდინარე მოვლენებზე

## პატიმრის თვითმკვლელობის 22 მცდელობა და სკანდალური წერილი ციხიდან

## რა მოიტყუა დათა ახალაიას ქართველმა ადვოკატმა

# გარდაბანში პროვოკაცია ნაციონალმა რამინ ბაირამოვმა მოაწყო

გვ. 2



# გარდაბანში პროვოკაცია ნაციონალმა რამინ ბაირამოვმა მოაწყო

## რას ჰყვებიან ადგილობრივი აზერბაიჯანელები და რატომ გადაიფიქრეს გარდაბანში ჩასვლა გიგი უგულავამ და გოკა გაბაშვილმა

გიორგი იაშვილი

**28 მაისს, ღამით, გარდაბანში ქართველ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს შორის ჩხუბი მოხდა. ერთი შეხედვით, ეს ჩვეულებრივი უთანხმოება იყო, რომელიც მეორე დღეს, როგორც წესი, შერიგებით სრულდება ხოლმე, მაგრამ იმას, როგორც განვითარდა მოვლენები გარდაბანში, ვერავინ წარმოიდგენდა. ჩხუბიდან ერთ საათში გარდაბანი ბრძოლის ველს დაემსგავსა — ორასამდე ახალგაზრდა ერთმანეთისკენ იწევდა, შუაში კი სპეცდანიშნულების რაზმი იდგა და მათ შეკავებას ცდილობდა. უფრო საინტერესო კი მეორე დღეს, 29 მაისს მოხდა: აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა შეკრება დილიდან დაიწყეს. საბოლოოდ, მათ სკოლის მოსწავლეები შეუერთდნენ და ჯერ გარდაბნის რაიონში არსებული სვანების დასახლების დარბევა გადაწყვიტეს, შემდეგ კი, როცა ამის უფლება სამართალდამცავებმა არ მისცეს, მსვლელობა მოაწყვეს და „აზერბაიჯან, აზერბაიჯან“-ის ძახილით ხუთასამდე მეტრი გაიარეს. იმავე საღამოს ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა ხელი „ქართული ოცნების“ წევრებისკენ გაიშვირეს და არეულობის მოწყობაში დაადანაშაულეს.**

გარდაბნის რაიონში ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პროპორციული სიის პირველი ნომერი, ყოფილი პარლამენტარი რამინ ბაირამოვი გახლავთ. სწორედ მის სახელს უკავშირებენ ამ არეულობის მოწყობას როგორც აზერბაიჯანელები, ისე ქართველები.

**„ბაირამოვმა კარგად იცის, რომ ნაციონალურ მოძრაობას გარდაბანში არჩევნები წაგებული აქვს, ამიტომ ფონს გასვლას პროვოკაციების მოწყობით ცდილობს. თუნდაც ის ფაქტი, რომ მეორე დღეს გამართულ აქციაზე, ძირითადად, სკოლის მოსწავლეები გამოიყვანეს, ბევრზე მეტყველებს. აქ ომი და დაპირისპირება არავის უნდა. ჩვეულებრივი ჩხუბი კინაღამ ეთნიკურ დაპირისპირებაში გადაზარდეს, მაგრამ აზერბაიჯანელი ხალხი ბრძენია, დროზე მიხვდა ბაირამოვის განზრახვას და არ აჰყვა. პრინციპში, ეგ ისეთი მამის შვილია, მისგან პროვოკაციას ყოველდღე უნდა ელოდეს კაცი“**, — განუცხადა „ვერსიას“ აზერბაიჯანელთა ერთ-ერთმა უხუცესმა აღსაკალმა.

როგორც ირკვევა, ჩხუბის მეორე დღეს გარდაბანში გიგი უგულავას ჩასვლა და სიტყვით გამოსვლა იყო დაგეგმილი, თუმცა სიტუაცია რადიკალურად მას შემდეგ შეიცვალა, რაც ქუჩაში „დუბინკებითა“ და ხანჯლებით შეიარაღებული ახალგაზრდები გამოჩნდნენ. ბაირამოვი მიხვდა, რომ ძალიან შეტოპა და „ქართული ოცნების“ ლიდერებთან შეხვედრა მოითხოვა. „ოცნების“ შტაბი, ამ დროის განმავლობაში, ჩვეულებრივად მუშაობდა და მიმდინარე მოვლენებში არ ერეოდა. ამ დროს კი ბაირამოვი აქციის სათავეში იდგა და მობილურში ბოლო ხმაზე ყვიროდა, სიტუაციას ველარ ვაკონტროლებ და მიშველეთო. „მაშველი“ უგულავა უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც გაირკვა, მან და ნაციონალების რამდენიმე ლიდერმა მანქანები რუსთავიდან მიატრიალეს და ქუჩაში გამოსულ ბავშვებს ბაირამოვი შეატოვეს. ნაციონალთა თავმჯდომარემ თავადაც გაცლა გადაწყვიტა... საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ სკოლის მოსწავლეები მარტო დარჩნენ, ახალგაზრდები მიხვდნენ, საქმეს პროვოკაციის სუნი აუვიდა და, უფროსების ჩარევის შემდეგ, დაიშალნენ. ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა კი თბილისიდან დაიწყეს განცხადებების კეთება და ყველაფრის „ქართული ოცნების“ წევრებზე გადაბრალება და ეს მაშინ, როცა „ოცნების“ აქტივისტები არსად დაფიქსირებულან.

რაც შეეხება თავად ბაირამოვს. პარლამენტში ყოფნისას, მისი სახელი „ჰუმან რაით ვოტჩის“ ანგარიშშიც მოხვდა. საქმეში ის და მისი მამა, გამბარ ბაირამოვი გადიოდნენ. საქმე სოფელ ვახტანგისში მცხოვრებ მამედ რაჯაბოვს ეხებოდა, რომლის შვილიც სასჯელს იხდიდა და ბაირამოვების შეპირების შემდეგ, შვილს შეწყალებით გამოვაშვებინებთო, მათ 18 ათასი დოლარი გადაუხადა, თუმცა შვილი ციხიდან ვერ დაიხსნა. გარდა ამისა, სოფელ ქესალოში არსებული მძიმე სიტუაციის გასაშუქებლად ჩასული პირველი არხის ჟურნალისტი პირადად რამინ ბაირამოვმა სცემა და მართალია, თავიდან ამ ამბავზე ხმაური ატყდა, ნაციონალებმა ყველაფერი მალე ჩაფარცხეს, თუმცა ზემოხსენებული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ფაქტის დაფიქსირება მაინც მოსაწრეს.

ბაირამოვის სახელს უკავშირდება რაიონის მასშტაბით არსებული მაღაზიებისა თუ სხვა ობიექტების პირდაპირი ტერორი. აზერბაიჯანელი მეწარმეები დღესაც ღიად აცხადებენ, რომ ბაირამოვის პარლამენტარობის დროს, ყველა არჩევნების წინ, ხარკს იხდიდნენ, „ხარკის ამკრეფი“ კი პირადად ბაირამოვი და მისი მამა იყვნენ. მოსახლეობას ეშინოდა, რადგან ბაირამოვებს ხშირად სტუმრობდნენ გიგი უგულავა და გოკა გაბაშვილი და ისინიც საკუთარი უძლეველობის დემონსტრირებას ახდენდნენ. ნაციონალების სწორედ ამ ლიდერების სახელით, ბაირამოვი, წლების განმავლობაში, აწიოკებდა მოსახლეობას და ზუსტად იცის, ამ არჩევნებში წარმატების შანსი არ აქვს. ზემოხსენებული პროვოკაციაც სწორედ ამიტომ მოაწყო.

როგორც ადგილობრივი აზერბაიჯანელი მოსახლეობა ამბობს, ბაირამოვს ნაციონალური მოძრაობის ლიდერებთან ურთიერთობა დაეძაბა, რადგან საჭირო დროს, პრაქტიკულად, მარტო დატოვეს და მოსახლეობის რისხვის ობიექტი გახადეს. რამინი უკვე მიხვდა, რომ არჩევნების შემდეგ მას შესაძლოა, გარდაბნის ქუჩებში გამოსვლის პრობლემაც კი შეექმნას, რადგან ბავშვების ჯანმრელობისა და სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენებას აზერბაიჯანელები არ აპატიებენ. სწორედ ამიტომ, იგი ნაციონალებს უსაფრთხოების გარანტიებს სთხოვს და საკუთარ ოფისში პრაქტიკულად აღარ ჩნდება. დაგეგმილი პროვოკაციის ჩავარდნის შემდეგ კი რამინს თბილისიდან აშკარად აღარ სწყალობენ.

**P.S. ერთ-ერთმა აზერბაიჯანელმა გვითხრა, წინასაარჩევნო ელფერი რომ არ მიეცეს, არჩევნების შემდეგ მოგიყვებით, როგორ დატოვა რამინმა სახლის გარეშე აზერბაიჯანელი ქალი, რომელიც ოთხ ობოლ მცირეწლოვანს ზრდიდა და აღნიშნული ფულით საკუთარი ცოლ-შვილი თურქეთში დასასვენებლად წაიყვანაო. საუბარია 45 ათას დოლარზე და ამ საქმეზე გარდაბანში ბევრი საუბრობს, ბაირამოვისგან დაზარალებული კი ითხოვს, შვილების სიცოცხლის გარანტია მომეცით და ყველაფერს დეტალებში მოვყვებიო. არჩევნები ორ კვირაში დასრულდება...**

### ირაკლი ალასანია საბერძნეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ოფიციალური ვიზიტით საბერძნეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა. ირაკლი ალასანია ბერძენ კოლეგასთან დიმიტრიოს ავრამოპულოსთან და გენერალური შტაბის უფროსთან, გენერალ მიხაილ კოსტარაკოსთან გამართავს შეხვედრას. დახვედრის ოფიციალური ცერემონიალი საბერძნეთის თავდაცვის სამინისტროში გაიმართება.

პირისპირ შეხვედრისას მინისტრები საქართველოსა და საბერძნეთის თავდაცვის უწყებებს შორის სამხედრო განათლების, ლოგისტიკისა და სამხედრო ტექნიკურ საკითხებში თანამშრომლობის შესახებ ისაუბრებენ. ირაკლი ალასანია ბერძენ კოლეგას საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების პერსპექტივების შესახებ მიაწვდის ინფორმაციას. საუბარი შეეხება ასევე ISAF-ის მისიასა და 2014 წლის შემდეგ „გადამწყვეტ მხარდამჭერ“ მისიაში ქართული კონტინგენტის ჩართვას.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოსა და საბერძნეთის თავდაცვის უწყებებს შორის 2014 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმას მოეწერება ხელი. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრი საბერძნეთის ვიცე-პრემიერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ევანგელოს ვენიზელოს, პარლამენტის პრეზიდენტს ევანგელოს მეიმარაკისსა და პარლამენტის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს კონსტანტინოს ციარასს შეხვდება. ირაკლი ალასანია უცნობი ჯარისკაცის მემორიალის გვირგვინით შემკობის ცერემონიალშიც მიიღებს მონაწილეობას.

***„ჯი-ეიჩ-ენი“***

სამართალი

# რა მოიტყუა დათა ახალაიას ქართველმა ადვოკატმა

## კახი კახიშვილი: „როცა პროცესი გამამართლებელი განაჩენით მთავრდება, ეს პროკურატურას არ ადარდებს!“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26



**დათა ახალაიას ექსტრადიციასთან დაკავშირებით მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ახალაიას აეკრძალა საბერძნეთის რესპუბლიკის ტერიტორიის დატოვება და დაეკისრა ვალდებულება, სანამ საბერძნეთის სასამართლო მის ექსტრადიციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს, კვირაში ერთხელ, პოლიციის შესაბამის ორგანოში გამოცხადდეს. სხვათა შორის, საბერძნეთის სასამართლომ საექსტრადიციო პატიმრობა ახალაიას გირაოთი შეუცვალა, გირაოს თანხად კი 100 000 ევრო განისაზღვრა. „საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ექსტრადიციის საკითხის განხილვა გაგრძელდება საბერძნეთის მხარისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ“, — ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში. ექსპერტ კახა კახიშვილის შეფასებით, გაუგებარია, დათა ახალაიას საქმე ბურუსითმოცული რატომაა.**

*„დათა ახალაია საბერძნეთში რომ დააკავეს, ჩვენთვის ცნობილი პროკურატურის კი არა, მესამე პირების დახმარებით გახდა. გაუგებარია, რატომ არის დათა ახალაიას საქმე ბურუსითმოცული. ვიდრე მას აღკვეთის ღონისძიება აქვს შეფარდებული და საბერძნეთის ტერიტორიის დატოვების უფლება არ აქვს, საქართველოს პროკურატურამ შესაბამისი მასალები უნდა მიაწოდოს საბერძნეთის სასამართლოს, რათა სასამართლომ ექსტრადიციის საკითხი გადაწყვიტოს. როცა საექსტრადიციო საკითხი იხილება, პირველ რიგში, ის ქმედება დგინდება, რომლის გამოც პიროვნება პასუხისგებაშია მიცემული, იმ ქვეყანაში, სადაც პიროვნებაა დაკავებული, ისჯება თუ არა. შემდეგ, სასამართლო არკვევს, არის თუ არა დევნა პოლიტიკური ან სხვა მოტივით, რომლის შემდეგაც, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ექსტრადაციის შესახებ. დათა ახალაიას ადვოკატები დაცვას პოლიტიკურ მოტივებზე ააგებენ — წაიღებენ ბაჩო ახალაიას საქმესაც, რომელსაც დაემატება ნაციონალების მიერ მომზადებული დოკუმენტაცია, რომ ახალაია მათი სახე და ლიდერია.*

*თუ მთავარი პროკურატურა საბერძნეთის სასამართლოს გაუგზავნის მყარ მასალებს, ექსტრადირების საკითხი გადაწყდება. ისე, შევნიშნე, როცა პროცესი გამამართლებელი განაჩენით მთავრდება, ეს პროკურატურას მაინცდამაინც არ ადარდებს“.*

ბოლო ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი თანხის გადაუხდელობის გამო, ისევ საბერძნეთის საპატიმროში რჩება — ახალაიას ოჯახმა 100 ათასი ევროს ერთ დღეში გადახდა, ბიუროკრატიული პროცედურების გამო, ვერ მოახერხა, ამიტომ დათა ახალია პატიმრობაში კიდევ სამ დღეს გაატარებს და, როგორც მისი ბერძენი ადვოკატი ალექსანდროს პაპასტეროპოლუსი ამბობს, ციხეს 2 ივნისს, ადგილობრივი დროით 12:00 საათზე დატოვებს.

შეგახსენებთ: დათა ახალიას სასამართლო პროცესიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება მისმა ქართველმა ადვოკატმა, ირაკლი ზაქარეიშვილმა გააკეთა... დათა ახალია საბერძნეთში რამდენიმე კვირის წინ დააკავეს — ის საბერძნეთიდან იტალიაში გადასვლას ყალბი საბუთებით ცდილობდა. საქართველოში დათა ახალიას წინააღმდეგ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მათ შორისაა ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციისა და სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეები.

# „აფხაზეთი რუსეთის ნაწილი მაქსიმუმ ორ წელში გახდება!“



რუსუდან შელია
557-100-768

**ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტმა ალექსანდრე ანქვაბი თანამდებობიდან გადააყენა და 24 აგვისტოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა. გავრცელებული ინფორმაციით, არჩევნებამდე დე ფაქტო რესპუბლიკის მეთაურის მოვალეობას ე.წ. სახალხო საბჭოს სპიკერი ვალერი ბგანბა შეასრულებს. ვინ მართავს პროცესებს აფხაზეთში და არსებობს თუ არა რეგიონის რუსეთის ფედერაციის ნაწილად გამოცხადების საშიშროება? — „ვერსიას“ ევროპელი დემოკრატების ლიდერი პაატა დავითაია ესაუბრა.**

## რა კულუარულ ინფორმაციას ფლობს პაატა დავითაია სოხუმში მიმდინარე მოვლენებზე

— აფხაზეთში კრიზისულ პოლიტიკურ ვითარებას საკმაოდ დიდი ხნის პრეისტორია აქვს: როცა არძინბას ხელისუფლებიდან წასვლის საკითხი დადგა, მის შემცვლელად რაულ ხაჯიმბა დასახელდა. მაშინ პლაკატიც კი გამოჩნდა, სადაც ხაჯიმბას პუტინი ართმევდა ხელს, შესაბამისად, რუსეთში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ არჩევნებში სწორედ იგი გაიმარჯვებდა, აწყობდათ კიდეც — ხაჯიმბა საბჭოთა უშიშროების კურსდამთავრებული და „ეფესბეს“ წარმომადგენელია, თუმცა მოვლენები სხვა სცენარით განვითარდა — ალექსანდრე ანქვაბი გამოჩნდა, რომელიც ოპოზიციის საკმაოდ ძლიერ კანდიდატად იქცა. სხვათა შორის, მაშინ ხაჯიმბამ ანქვაბის ჩამოსაცილებლად კონსტიტუციაც კი შეცვალა და ყველა კანდიდატს, ვინც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აფხაზეთში არ ცხოვრობდა, არჩევნებში მონაწილეობის უფლება აუკრძალა. ანქვაბი კი, წლების განმავლობაში, მოსკოვში ცხოვრობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ანქვაბმა საკმაოდ ჭკვიანური ნაბიჯი გადადგა — ბაღაფშთან გარიგდა, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი დაუჭირა და საარჩევნო სისტემაც მასზე, როგორც პრემიერ-მინისტრის კანდიდატზე ააწყო. საბოლოოდ, ანქვაბმა გაიმარჯვა, რუსეთმა კი, საზღვარი ჩაკეტა.

— **მაშინ ანქვაბიც პუტინთან გარიგდა და პრემიერ-მინისტრის პოსტიც დაიკავა. ახლა კრემლმა მისი მოშორება რატომ გადაწყვიტა?**

— დიახ, მოლაპარაკება შედგა: ხაჯიმბა ვიცე-პრეზიდენტი გახდა, ბაღაფში პრეზიდენტი, ანქვაბი პრემიერ-მინისტრი, თუმცა ამის შემდეგ, მეორე საპრეზიდენტო არჩევნებში, კვლავ ბაღაფშმა გაიმარჯვა, ანქვაბმა კი ხაჯიმბა და სერგეი შამბაც მოიცილა, რომელიც მაშინ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და რუსეთთან 15 წელი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ანუ ანქვაბმა მაშინ რუსეთს საკუთარი ძალა აჩვენა.

აფხაზეთში განვითარებული მოვლენების ერთ-ერთი მიზეზი კლანური ბრძოლაა, რომელსაც, ბუნებრივია, რუსეთიც სათავისოდ იყენებს. სხვათა შორის, ანქვაბი ბოლო პრეზიდენტია, რომელიც პროაფხაზურადაა განწყობილი. მან უამრავი პრობლემა შეუქმნა რუსეთს, არც გალში აწიოკებდა ქართველ მოსახლეობას... ასე რომ, მის წინააღმდეგ ბრძოლა შიგნიდან დაიწყო. აღსანიშნავია, რომ რკინიგზის გახსნის წინააღმდეგი სწორედ ანქვაბი იყო — ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რკინიგზა უნდა გაიხსნასო, რუსეთმა და სომხეთმა მხარი დაუჭირა, მაგრამ ეს ინიციატივა ანქვაბის წინააღმდეგობის გამო ჩაიშალა. მას არც ეს აპატიეს, რადგან რკინიგზის გახსნის შემთხვევაში, აფხაზეთი საკუთარ გავლენას დაკარგავდა — საქართველოს, რუსეთსა და სომხეთს შორის მოთამაშედ აღარ დარჩებოდა. ახლა რუსეთს ისეთი ადამიანი სჭირდება, რომელიც რუსულ პოლიტიკას გაატარებს. ხაჯიმბა ღია გზავნილებსაც აკეთებს, აფხაზ ხალხს დასაქმება და რუსეთთან მეტი ურთიერთობა სჭირდებაო.

— **დიდი ხანია რუსეთს აფხაზეთში პრობლემები აქვს — აფხაზები პუტინის მიმართ უკმაყოფილებას ღიად გამოხატავენ. ხაჯიმბას გზავნილები ამ განწყობას როგორ შეცვლის?**

— სწორედ ამიტომ, ღიად ვერც ერთი ძალა გაბედავს თქმას, რომ რუსეთისკენ მეტი ნაბიჯი უნდა გადაიდგას. სინამდვილეში, ახლა მზადდება საფუძველი, რათა აფხაზეთი რუსეთის ფედერაციის სუბიექტად გამოცხადდეს. ყირიმის ოკუპაციის შემდეგ, ლუგანსკსა და დონცეკში რუსეთს არაფერი გამოუვიდა, მაგრამ პუტინის იმპერიალისტური ემოციები და შეგნება პიკს აღწევს და ახალი მიწები სჭირდება, რასაც ანქვაბი არ გააკეთებდა, ამიტომ საზოგადოებრივი აზრის შეგუების პროცესი მიდის. ხელისუფლებაში ხაჯიმბას მოყვანის შემდეგ, იმასაც იტყვიან, რკინიგზა გავხსნათო, თუმცა მას რუსები და აფხაზები თავადვე ააფეთქებენ, რასაც ქართულ მხარეს ან პარტიზანებს დააბრალებენ. ამის შემდეგ იტყვიან, აფხაზეთი წუმპის კი არა, დიდი ოკეანის ნაწილი უნდა გახდესო და რუსეთის ხახაში აღმოჩნდებიან. ისე, ცხინვალში ეს საკითხი უკვე მოგვარებულია — მხოლოდ ერთი სატელეფონო ზარია საჭირო, რომ „სამხრეთ ოსეთი“ რუსეთს შეუერთდეს.

— **ბატონო პაატა, აფხაზეთში ყირიმის მოვლენების გასამეორებლად იურიდიული საფუძველი ხომ არ არსებობს?**

— რომელ იურისპრუდენციაზე ვსაუბრობთ, როცა ძალის დემონსტრირებისა და ოკუპაციის მომსწრენი ვართ? ღიად ვამბობ: აფხაზეთი რუსეთის ნაწილი, მაქსიმუმ, ორ წელში გახდება. როცა ბაღაფში ხელისუფლებაში მოვიდა, მაშინაც ვამბობდი, რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს-მეთქი. ყავაზე მკითხაობით დაკავებული ექსპერტები კი მეწინააღმდეგებოდნენ, პუტინი ამას ვერ გაბედავსო, თუმცა ყველამ ვნახეთ, მოვლენები როგორც განვითარდა.

— **რატომ გგონიათ, რომ აფხაზეთის რუსეთის ნაწილად გამოცხადებას ქართული მხარე ან თუნდაც დასავლეთი შეეგუება?**

**— სწორედ ესაა საინტერესო — რა პოზიცია ექნება საქართველოს ხელისუფლებას, ისევ რუსეთთან დიალოგის რეჟიმის აღდგენაზე ისაუბრებს? ეს იმის შედეგია, რომ ქართველები აფხაზებს ჩამოვშორდით. აფხაზეთთან დიალოგის წარმოება არც წინა ხელისუფლებამ მოინდომა, „ქართული ოცნება“ კი პაატა ზაქარეიშვილის ილუზიებში მოექცა. გვიმტკიცებს, აფხაზებთან დიალოგს ვაწარმოებო, რეალურად კი, კომპიუტერში „ჩათაობს“. არც სპეცსამსახურებზე ვმუშაობთ, არც სახალხო დიპლომატიას ვაწარმოებთ. სამწუხაროდ, 1991 წლიდან აფხაზეთი და ცხინვალი ხელისუფლებისთვის მხოლოდ თავისტკივილია, წინასაარჩევნო კამპანიისას ახსენდებათ ხოლმე. პუტინმა კი საშინაო დავალება შეასრულა.**

— **თუ პროცესები მართლა ამ სცენარით განვითარდა, ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთი საქართველოსთვის დაკარგულია?**

— აფხაზეთის დაკარგვას არასოდეს შევეგუები, მაგრამ, თუ ქართულმა მხარემ ეს პოლიტიკა გააგრძელა, აფხაზეთს მართლაც დავკარგავთ. 1993 წლიდან ხელისუფლება, მცდარი პოლიტიკის გამო, აფხაზეთის დაბრუნებას შანსს სულ უფრო ამცირებს, ახლა კი, ამ მიმართულებით აბსოლუტურად კრიზისულ მდგომარეობაში ვართ.

— **რამდენიმე კვირაში საქართველო ხელს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერს. გეოპოლიტიკური გადანაწილების პროცესში ეს ქვეყნის მდგომარეობას არ ცვლის?**

— ვითარება სწორედ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ დაიძაბება, თუმცა, რატომღაც, ამ პროცესების პრევენციის მექანიზმებზე ხელისუფლება არ ფიქრობს. ისე, თურქეთი 1963 წლიდან ასოცირების ხელშეკრულების ხელმომწერია, საერთაშორისო მხარდაჭერაც აქვს, მაგრამ ევროკავშირის წევრი ვერ გახდა.

— **საქართველოც ამ გზას გადის?**

— ამის თქმა არ მინდა, თუმცა გარკვეული წინააღმდეგობა უკვე ნათლად იკვეთება. მარტივ კითხვას დავსვამ — მოლდოვამ უვიზო რეჟიმი ჩვენზე სწრაფად რატომ მიიღო? არადა, საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც მოლდოვაზე ბევრად წინ დგას — ბოლო არჩევნები დემოკრატიულად ჩავატარეთ, ხელისუფლებაც სწორედ ამ პრინციპით შეიცვალა. ამ კითხვაზე პასუხი მაქვს, მაგრამ რატომ ვართ ისევ დაპირებებში, ამას ღიად დავტოვებ. მინდა, ამ მიმართულებით საზოგადოებამ თავად იმსჯელოს. სამწუხაროდ, აფხაზეთისა და ცხინვალის გარდა, დღეს რუსეთს ჩვენ წინააღმდეგ უამრავი ბერკეტი აქვს.

— **თუ თენგიზ კიტოვანსა და ევრაზიული კავშირის მხარდამჭერ ორგანიზაციას გულისხმობთ, გამოჩნდა, რომ ისინი საზოგადოების პოლიტიკურ განწყობაზე გავლენას ვერ ახდენენ — თითქმის ყველა სოციოლოგიური გამოკითხვით, მოსახლეობის 75% საქართველოს ევროინტეგრაციას უჭერს მხარს.**

— ამას ცხოვრება გვაჩვენებს. რუსეთს კი, ამ ორგანიზაციების გარდა, იმაზე მეტი აქვს საქართველოში, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია, ამიტომ საზოგადოებას მივმართავ — თუ რუსეთთან თანაცხოვრება გსურთ, რუსული კარგად ისწავლეთ.

— **უცნაური მოწოდებით გამოდიხართ...**

— ამის საშიშროება სულ უფრო რეალური ხდება. ის, რომ ხელისუფლება მუდმივად საუბრობს რუსეთთან ურთიერთობის კუთხით დათმობაზე, როცა არავინ ახსენებს სიტყვა „ოკუპაციას“, მავთულხლართების გადმოწევას სისულელეებით ეხმაურებიან, უმრავლესობის ლიდერი კი ყველა განცხადებაში რუსეთის ქმედების გამართლებასა და განეიტრალებას ცდილობს, ეს მმართველი გუნდის პოზიციაზე მიანიშნებს. მსგავსი საკითხები ერთ დღეში არ წყდება — საზოგადოების აზრს ეტაპობრივად ამზადებენ.

ვერსიანიუსი

## შსს არჩევნებში მონაწილე კანდიდატებზე პოლიციის მხრიდან ზეწოლას კატეგორიულად უარყოფს



შინაგან საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს ბოლო პერიოდში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პოლიციის მხრიდან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პარტიების კანდიდატებზე ზეწოლა ხორციელდება.

**„ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ აღნიშნული განცხადებები სიმართლეს არ შეესაბამება. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა ზეწოლის ან მუქარის ფაქტი კონკრეტული პოლიციელის მხრიდან, იგი კანონის შესაბამისად, უმკაცრესად დაისჯება. შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ ადასტურებს მზადყოფნას უზრუნველყოს არჩევნების მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარება“,** — ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

უწყების ცნობით, განახლდა და დამტკიცდა „არჩევნების პერიოდში შსს-ს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია“. აღნიშნული დოკუმენტი ასახავს ბოლო დროს განხორციელებულ ყველა საკანონმდებლო ცვლილებას და არეგულირებს პოლიციელის უფლება-მოვალეობებს არჩევნების მსვლელობისას. დოკუმენტი განსაზღვრავს წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებს, სამინისტროს მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე მათთვის კანონით დადგენილ აკრძალვებსა და შეზღუდვებს. გარდა ამისა, ინსტრუქცია ითვალისწინებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევ პირთა მიმართ მოთხოვნილი და გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელები იყოს სამართალდარღვევის პროპორციული, რათა მომავალში უზრუნველყოფილ იქნას მსგავსი დარღვევების პრევენცია.

*„ინტერპრესნიუსი“*

## „რუსთავი 2“ და „ჯი-ეიჩ-ენი“ იუბილარები არიან

**სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ 20 წლის გახდა, საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“ კი — ცხრის.**

**„ვერსია“ კოლეგებსა და პარტნიორებს იუბილეს ულოცავს და უსურვებს, მუდამ მართალი სიტყვის სადარაჯოზე მდგარიყვნენ!**

# ზაქარია ფალიაშვილის რძალი ნიკა მელიასა და გიგლა აგულაშვილს ქონების წართმევაში ადანაშაულებს

რუსუდან შელია
557-100-768

**მე-19 საუკუნის როიალი, რომელზეც ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“ შეიქმნა, დღეს უცხო პირის საკუთრებაშია. ზაქარია ფალიაშვილის რძალი, ოთარ გორდელის მეუღლე ლალი მიქავა, როგორც თვითონ ამბობს, თაღლითური სქემის მსხვერპლი აღმოჩნდა და 2000 წლიდან სიმართლის გარკვევას ითხოვს. კერძოდ, ლალი მიქავა-გორდელი ერთ-ერთ ტურისტულ ფირმასთან საზღვარგარეთ წამსვლელ პირებს შუამავლობდა. ფული ხელწერილით აიღო და, ნოტარიულად, ტურისტული ფირმის დირექტორს, ვინმე ბაბუაძეს ჩააბარა, ეს უკანასკნელი კი ფულთან ერთად დაიკარგა. კრედიტორებმა სხვისი თანხის მითვისებაში ბრალი ლალი მიქავას დასდეს — სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა, რომელიც სასამართლო დავით დასრულდა. საქმე ჯერ კიდევ გასაჩივრების სტადიაზე იყო, როცა აღმასრულებელმა, ვინმე დათო ტაბიძემ შპს „გორდელის სახელობის საზოგადოება — შემოქმედების“ ქონება დააყადაღა და კრედიტორ ბაღდასაროვთან შესანახად გადაიტანა. დაყადაღებული აღმოჩნდა როიალი „ბეხშტეინი“, ბიბლიოთეკა, ბრინჯაოს ვენეციური ჭაღი, ხის ორი ტუმბო, ვიტრინა, ძველებური შავი მაგიდა და სხვა. რეალურად, აღნიშნული ქონება ლალი მიქავას მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს ეკუთვნოდა. შპს-ს წესდებაში მითითებულია, რომ „საზოგადოება პასუხს არ აგებს მისი დამფუძნებლის კერძო ვალდებულებებზე“. სწორედ ამ ლოგიკით, ლალი მიქავა დავობს, რომ მისი ვალების გამო, „შემოქმედების“ ქონება არ უნდა დაყადაღებულიყო, რადგან სამოქალაქო კოდექსი მსგავს ქმედებების შესაძლებლობას არ იძლევა. გარდა ქონებისა, მაშინ ლალი მიქავას საცხოვრებელი სახლიც დაყადაღდა, რომელიც მისი შვილის საკუთრებაც იყო. სააღსრულებო ბიურომ თანასაკუთრეობა აუქციონზე ორჯერ გაიტანა და ბოლოს, ვალში ერთ-ერთ კრედიტორს გადასცა. მაშინ აღმასრულებელი ბიუროს ხელმძღვანელი ამჟამინდელი დეპუტატი, აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი გახლდათ. „ვერსიასთან“ საუბრისას ლალი მიქავა ქონების წართმევაში ნაციონალების თბილისის მერობის კანდიდატ ნიკა მელიასაც ადანაშაულებს.**




— 11 წელია, უფლებაწართმეული და დევნილი ვარ. ჩიტაძის ქუჩაზე სახლის ნაწილი წამართვეს, რომელიც ჩემმა მეუღლემ, კომპოზიტორმა ოთარ გორდელი-ფალიაშვილმა მიანდერძა. ამის გამო მისი სახელობის სალონ-მუზეუმი „შემოქმედება“ განადგურდა, სადაც კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა დედისადმი მიძღვნილი ოპერა „დაისი“ დაწერა. მაშინ უკანონოდ დამიყადაღეს და გამიყიდეს ანტიკვარული როიალი, თუმცა კანონით, მსგავსი ქმედება იკრძალება — პროფესიით პიანისტი ვარ და როიალი ჩემი შემოსავლის წყაროდ მიიჩნევა. ეს კანონდარღვევის მხოლოდ ერთი შემთხვევა არ არის: სისხლის სამართლის საქმის ძიების დასრულებამდე, ჩემი ანტიკვარული ქონება გაყიდეს და დააყადაღეს. ჩემს ფიზიკურად განადგურებასაც ცდილობდნენ — 2002 წლის 5 იანვარს, მოკვლის მიზნით, თავს დამესხნენ, ხელჩანთა და დოკუმენტაცია წამართვეს.

— **იცით, თავს ვინ დაგესხათ?**

— რა თქმა უნდა, ვიცი. ჩემი განადგურება ბაღდასაროვის ინტერესებში იყო, რომელმაც ჩემი სახლიდან როიალი წაიღო, მაგრამ ამას გიგლა აგულაშვილი ხელმძღვანელობდა.

— **უმრავლესობის დეპუტატს საკმაოდ მძიმე ბრალდებას უყენებთ. გაქვთ შესაბამისი მტკიცებულებები ან გიგლა აგულაშვილი რატომ დაგიპირისპირდათ?**

— სხვადასხვა უწყებას 19-ჯერ მივმართე, მაგრამ ყაჩაღების მიერ წართმეული ქონების დაბრუნება არავის სურს, რადგან ეს ყაჩაღები დღესაც ხელისუფლებაში არიან. ერთ-ერთი მათგანი სწორედ პარლამენტარი გიგლა აგულაშვილია, რომელიც სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობის პერიოდში სააღსრულებო ბიუროს თავმჯდომარე გახლდათ; მეორე კი, ნიკა მელიაა, რომელიც დღეს თბილისის მერობის კანდიდატია. 2008 წელს ნიკა მელია სააღსრულებო ბიუროს თავმჯდომარე გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ სააღსრულებო ფურცელი მქონდა, რომლის მიხედვითაც ჩემი ქონების დაყადაღების აქტი სასამართლომ ბათილად სცნო, გიგლა აგულაშვილმა მოსამართლის გადაწყვეტილება არ შეასრულა. მეტიც, როდესაც 2004 წელს სააღსრულებლო ფურცელი მეორედ მივიტანე, აღმოჩნდა, რომ ჩემი საქმის დოკუმენტაცია საერთოდ განადგურდა. წარმოუდგენელია, დოკუმენტაცია ვინმეს აგულაშვილის გარეშე გაენადგურებინა. სამწუხაროდ, 10 წლის განმავლობაში, ეს საკითხი არავის განუხილავს, დღეს კი, როიალი „ბეხშტეინი“ ადვოკატ გოქსაძის, ანტიკვარული ჭაღი და მე-19 საუკუნის ბუფეტი კი, დალი ბოჯგუას სახლშია. ვიმეორებ, ჩემთვის ქონების წართმევა ჯერ გიგლა აგულაშვილისა და შემდეგ, ნიკა მელიას ხელმძღვანელობით მოხდა.

— **სანამ ნიკა მელიაზე მიამბობთ, გიგლა აგულაშვილს პირადად თუ ესაუბრეთ?**

— რა თქმა უნდა. მის ოჯახს, განსაკუთრებით კი, ბებიას ძალიან კარგად ვიცნობდი. რას წარმოვიდგენდი, ასე რომ მომექცეოდა. მან საკმაოდ მშვიდად მიმიღო და მითხრა, ქონებას აუცილებლად დამიყადაღებდა.

— **ერთ-ერთი ტურისტულ კომპანიასთან ადამიანებს უშუამდგომლეთ, თუმცა ტურისტებისთვის წართმეული თანხა დაიკარგა. ამ საქმეში თქვენ პასუხისმგებლობას ვერ გრძნობთ?**

— ეს იყო თაღლითური სქემა, რაც პირადად ჩემს მოტყუებასა და ოთარ გორდელის ისტორიული ნივთების ხელში ჩაგდებას ემსახურებოდა. მეტსაც გეტყვით, არამხოლოდ ქონება, კულტურის სამინისტრომ ინტელექტუალური საკუთრება, ჩემ მიერ დაპატენტებული ფესტივალი „ვაზის საგალობელი“ მომპარა. სხვათა შორის, 2008 წელს მიხეილ სააკაშვილის სასამართლოში კულტურის სამინისტროს საქმე მოვუგე — მოსამართლემ უწყებას ჩემთვის 81 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა. მაშინ ხელში სააღსრულებლო ფურცელიც მქონდა.

— **სწორედ 2008 წლიდან ერთვება ნიკა მელია თქვენ წინააღმდეგ საქმეში, რადგან იმ პერიოდში სააღსრულებო ბიუროს თავმჯდომარე იყო?**

— დიახ, იძულებით აღსრულების სტადიაზე 6 თვის განმავლობაში, ნიკა მელიამ ეს ფული არ მომცა. ნიკა მელიას მამასთანაც დიდი ხანია ვმეგობრობ და ამ ხნის განმავლობაში, სწორედ ამის გამო ვდუმდი. ახლა ნათლად იკვეთება, რომ ნიკა მელიას ჩემი სახლის შეძენა უნდა! დეტალებს არ მოვყვები, თუმცა, თუ საჭირო გახდა, ამასაც მალე გავასაჯაროებ. ნიკა მელიასაც პირადად შევხვდი — აქამდე არ გეხებოდი, მაგრამ რადგანაც ასეთ პოლიტიკას ატარებ და ჩემი სახლის წართმევა გსურს, ყველას ყველაფერს გავაგებინებ-მეთქი. ამ დაპირებას აუცილებლად შევასრულებ! მაშინ პასუხიც კი ვერ გამცა, თუმცა განზრახვაზე ხელი დღემდე არ აუღია. სხვათა შორის, როცა 2008 წელს სააღსრულებო ფურცელი არ მომცეს და შემომთავაზეს, 81 ათასი დოლარის ნაცვლად, 2 000 ლარს მოგცემთო, ჩემმა ადვოკატმა, ამჟამად თეა წულუკიანის მოადგილე გიორგი ბარამიძემ, საქმე სტრასბურგში გადაგზავნა. დღეს კი, გიორგი ბარამიძე მეუბნება, საქმის განხილვა ჩემს კომპეტენციაში არ შედისო. ვიცი, თანამდებობრივად ეკრძალება, მაგრამ დღეს ხომ მაღალ თანამდებობაზეა, რატომ არ იბრძვის უსამართლობის წინააღმდეგ?! გიორგი ბარამიძის გარდა, გოგი ქავთარაძეც ჩემს გვერდით იყო. დეპუტატობის შემდეგ კი საერთოდ აღარ მეხმიანება. ვერ გეტყვით, მისი დეპუტატობით ან პარლამენტს, ან ქვეყანას რა შეემატა.... სამწუხარო, იცით, რა არის?! — მაშინ, როცა ხელისუფლება ანტიდისკრიმინაციულ კანონს იღებს და სექსუალური უმცირესობებს დაცვას ცდილობს, დანარჩენი ადამიანების დისკრედიტაციაზე ხმას არ იღებს! ის, რომ დღეს, როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად მანადგურებენ, სახელმწიფოში არავის აღელვებს.

— **გაქვთ მოლოდინი, რომ ქონებას დაიბრუნებთ?**

— სასამართლოში სარჩელი შემაქვს და გიგლა აგულაშვილზე, გიორგი ამისულაშვილზე, ბაღდასაროვსა და ბუზოღლიზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ვითხოვ. თეა წულუკიანთან შეხვედრაც ვცადე, მაგრამ ჩემს მიმართვას, ჯერჯერობით, არავინ გამოხმაურებია. კულტურის სამინისტროსაც მივმართავ — დამიბრუნონ მოპარული ისტორიული სახლი და აღადგინონ ოთარ გორდელის სახელობის სალონი-მუზეუმი „შემოქმედება“. ასევე ვითხოვ, ჩემი სახლიდან ყაჩაღებისა და თაღლითების მიერ გატანილი არქივების, როიალის, დავით კაკაბაძისა და ლადო გუდიაშვილის სურათების დაბრუნებას! სიცოცხლის ბოლომდე ამისთვის ვიბრძოლებ!

„ვერსია“ ლალი მიქავას ბრალდებების ადრესატებს — გიგლა აგულაშვილსა და ნიკა მელიას დაუკავშირდა. ნაციონალური მოძრაობის თბილისის მერობის კანდიდატმა აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარზე უარი თქვა. უმრავლესობის დეპუტატმა, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ კი განაცხადა: **„შეურაცხმყოფელია ჩემთვის იმაზე საუბარი, თითქოს ლალი მიქავას ფიზიკური შეურაცხყოფას ვხელმძღვანელობდი. რაც შეეხება სხვა ბრალდებებს, ამ საქმის დეტალები არ მახსოვს, რადგან დაახლოებით, 14 წლისწინანდელ ფაქტზეა საუბარი, თუმცა არსებობენ შესაბამისი სტრუქტურული უწყებები, დამოუკიდებელი სასამართლო და თუ ვინმეს გონია, რომ უკანონო გადაწყვეტილება მივიღე, შეუძლია, იჩივლოს. თუ ხანდაზმულობის ვადა გასულია, ამაზეც არ მაქვს პრეტენზია, მორალური პასუხისმგებლობისთვის მზად ვარ“.**

ვერსიანიუსი



## დარიალის ხეობაში გზა ვერ გაყავთ

დარიალის ხეობაში მეწყერის შედეგად ჩამოშლილი მასის გამწმენდითი სამუშაოები გრძელდება. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის, გივი ჩირიკაშვილის თქმით, გაწმენდით სამუშაოებზე 70 მანქანა მუშაობს.

მისივე თქმით, ჯერჯერობით, დაკარგულებისთვის არ მიუგნიათ და გზის აღდგენაც ვერ ხერხდება. ამის მიზეზი კი ყინულის დიდი მასებია, რომელიც დროდადრო დნება და გზის დაგებას უშლის ხელს.

მდინარე თერგი კი, რომელსაც სტიქიის შემდეგ კალაპოტი შეუცვალეს, თავის კალაპოტში დაბრუნდა.

შეგახსენებთ: 17 მაისს დარიალის ხეობაში მთის ნაწილი ჩამოიშალა. ფერდობიდან ჩამოწოლილმა გრუნტმა გვირაბი ჩახერგა. სამაშველო ოპერაციის შედეგად გვირაბიდან 15 ადამიანის გამოყვანა მოხერხდა. ამ დროისთვის დაკარგულად ექვსი ადამიანი ითვლება.

*„მედიანიუსი“*

# ლევან ვასაძის ფარული გეგმები



## არჩილ გამზარდია: „ვასაძე სრულიად გაუგებარი საოცრებაა და არსებობს საშიშროება, ქართველ კადიროვად ჩამოყალიბდეს!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**სოხუმში მიმდინარე მოვლენები, კონფლიქტი გარდაბანში, შიდაომი ოცნება-ნაციონალებს შორის და პრორუსული რეიტინგული ფიგურის გააქტიურება — ამ მოვლენებს ერთი სცენარის შემადგენელ ნაწილებად თუ განვიხილავთ, მივხვდებით, რომ ქვეყანა გარდაუვალი დაპირისპირების ზღვარზეა. თუ ამას პატრიარქის გადაყენებასა და შემოდგომით ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაზე გავრცელებულ ხმასაც დავუმატებთ, ვითარება, პრაქტიკულად, იმისთვისაა მომზადებული, ერი ამ ძნელბედობის ჟამს ნამდვილ ახალ ქართველს, მართლმადიდებელსა და მდიდარ რაინდს გაჰყვეს. ვინ არის ეს რაინდი, ვინ მართავს ამ პროცესებს და რა საფრთხეის წინაშე დგას საქართველო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა და ნატო-ს სამიტის წინ? — ამ თემებზე „ვერსიას“ საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალისტმა არჩილ გამზარდიამ სკანდალური ინტერვიუ მისცა.**

**— არჩილ, საუბარი სოხუმში მიმდინარე მოვლენების შეფასებით დავიწყოთ — ეს პროცესი მართულია?**

— ამ მოვლენებს სტიქიურს ვუწოდებდი, რომ არა ეპიცენტრში მყოფი რაულ ხაჯიმბა, რომელიც მკვეთრად პრორუსია და ვლადიმერ პუტინის პირდაპირი მხარდაჭერით სარგებლობს. აფხაზეთში, რა თქმა უნდა, ყველა ქართველების წინააღმდეგაა შეთანხმებული, მაგრამ ბოლო დროს იქ ქართველები, მეტ-ნაკლებად, უკეთ ცხოვრობენ და შედარებით ნორმალური კომუნიკაციაც დაიწყეს. აფხაზეთიდან ეთნიკური ქართველები რომ გამოასახლონ, ამით პრობლემა აფხაზებს შეექმნებათ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბოლო წლებში, რუსეთს აფხაზეთში უძრავი ქონების შესყიდვა ძალიან გაუჭირდა — ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, აფხაზები ქართველების კუთვნილ სახლებსა და მიწას რუსებზე არ ასხვისებენ და ეს რუსეთისთვის გაუგებარი და მიუღებელია. რუსეთის მიმართ წინააღმდეგობაც იზრდება, რადგან ისინი აფხაზებს აგდებულად ექცევიან და არარაობად მიიჩნევენ. გარდა ამისა, აფხაზეთს, რუსული „კავეენის“ გარდა, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არავინ სცნობს და აღიარებს, თუმცა ფაქტია: აფხაზეთმა, ცხინვალისგან განსხვავებით, თავი დამოუკიდებელ მოთამაშედ უფრო დაიმკვიდრა, რაც რუსეთის ინტერესებში არ შედის, მით უმეტეს, როცა ხაჯიმბას სახით აქტიური დასაყრდენი ჰყავს, ამიტომ, ბუნებრივია, პროცესი რუსეთის მხრიდანაა მართული. უბრალოდ, პუტინს თავის დროზე ერთი „იაღლიში“ მოუვიდა — ყირიმისგან განსხვავებით, აფხაზეთი პირდაპირ არ შეიერთა.

**— ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა და ნატო-ს უელსის სამიტის წინ ვითარების დაძაბვა არ გაეჭვებთ?**

— დიახ, ეს ძალიან უცნაური დამთხვევაა და მოვლენათა გამწვავების მიზანი შეიძლება ისიც იყოს, რომ საქართველოში შიდააშლილობა დაიწყოს. ღმერთმა არ ქნას, მაგრამ ეთნიკური ქართველები სოხუმიდან რომც გამოყარონ, ამით საერთაშორისო დონეზე არაფერი შეიცვლება, სამაგიეროდ, საქართველოში შიდააშლილობა და დესტრუქციული პროცესები დაიწყება. ეს შეიძლება იყოს რაღაც გაუგებარი მოთხოვნები, მაგალითად, ახალი ხელისუფლების ჩამოგდება, პარლამენტის გადადგომა და ა.შ. მთელი პოლიტიკური ველი ისედაც ერთი და იგივე პოლიტიკური ძალის პლატფორმაა. რეალურად, ვინც ვითარებას მართავს, ის უკვე გადამდგარიცაა. პარლამენტში კი, მეტ-ნაკლებად, კვლავ იგივე ხალხი შევა, ოდნავ შეცვლილი პროპორციით.

**— შიდაარეულობის შესაძლო კერად გარდაბანიც ხომ არ უნდა ჩავთვალოთ, სადაც ერთმანეთს სვანები და აზერბაიჯანელები დაუპირისპირდნენ?**

— რამდენჯერაც რაღაც დაძაბულობას ეთნოკონფლიქტი ან რელიგიური დაპირისპირება დაერქვა, მერე ყველა ასეთი შემთხვევა პიროვნული ან პოლიტიკური დაპირისპირება აღმოჩნდა. იმედია, ახლაც ასეა. დაპირისპირება სვანებსა და იმერლებს შორის რომ მომხდარიყო, ამას ეთნოკონფლიქტს ხომ არ დავარქმევდით? იქ სვანური საძმო და აზერბაიჯანელების რაღაც ჯგუფი მხოლოდ არაფორმალურად შეიქმნა და ერთმანეთს პოლიტიკური ნიშნით დაუპირისპირდა. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი ცხელი კერები სულ გვაქვს. კიდევ უფრო სამწუხარო კი ისაა, რომ ირგვლივ მხოლოდ ისეთი პოლიტიკოსები გვყავს, ვინც მზადაა, ამ კერებით ისარგებლონ და ფულისა და რეიტინგისთვის ქვეყნის საწინააღმდეგო განცხადებებიც გააკეთონ. ვითარებას ისიც ამძაფრებს, რომ სახელმწიფოს არ აქვს კონკრეტული პოლიტიკა, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ეთნიკური და რელიგიური ნიშნით განსხვავებული ხალხის ინტეგრირებას. ვიდრე იმაზე გვექნება საუბარი, რომ მარტვილელი კაცი არ შეიძლება, თბილისის მერი გახდეს, ეს კერებიც იარსებებს და მსგავსი პრობლემებიც.

**— ამჯერად, ვინაა ამ კერების გამოყენებით დაინტერესებული?**

— თითქოს პირდაპირ დაინტერესებული პირი არ ჩანს, მაგრამ ცოტა გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლოა, ძალიან ცუდი სცენარი განვითარდეს — დაშლილი, დაყოფილი და ერთმანეთთან წაჩხუბებული მხარეები, უფრო დიდი და ნამდვილი შიდაკონფლიქტებით. აი, ყველაფერ ამის ფონზე, არსებობს მოსაზრება, რომ ეს ვითარება ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენის კარგი ასპარეზი შეიძლება გახდეს.

> **გამოჩნდება ვიღაც ახალი ლიდერი, რომელიც იტყვის, ჩვენ ეს პრობლემები არ გვექნებოდა, რუსეთთან უფრო ახლოს რომ ვყოფილიყავითო. მაგალითად, ვისმენ „ევრაზიული არჩევანის“ ლიდერის, ვასილ ჭყოიძის განცხადებას, რომ ახმედ კადიროვმა ჩეჩნები განადგურებას გადაარჩინა, როცა რუსეთს შეუერთა. აქაც გავიგონებთ მსგავს ფრაზებს — ხომ ხედავთ, დავჭამეთ ერთმანეთი და ჩვენც ჩეჩნებივით უნდა მოვიქცეთო. ამ პროცესით კი სწორედ ის პირები ისარგებლებენ, ვინც საქართველოს სახელმწიფოებრიობას დაასამარებს!**

**— ასეთებს, შიგადაშიგ, ჩვენვე ვირჩევთ... ისე, როგორ ხსნით, პოლიტიკურ რეიტინგებში უცვლელ პირველ ადგილს პატრიარქი რომ იკავებს, მეორე ადგილი კი რეალობის მიხედვით იცვლება. დღეს პოლიტიკურ რეიტინგებში მეორე უსტატუსო ლევან ვასაძეა. საერთოდ, ვასაძე რა ფენომენია?**

— პატრიარქის მაღალი რეიტინგი იძულებითი მოვლენაა, მან შეცვალა ყველა დროებითი და ცრუ ლიდერი, ვინც ხალხს უმტყუნა. პატრიარქი კი მუდმივი სულიერი ლიდერია, რომლისგანაც ადამიანები გრძნობენ ძალასა და თანადგომას. მის რეიტინგში ჩვენ, ყველამ ერთად გავაერთიანეთ პრეზიდენტის, პრემიერის, პარლამენტის თავმჯდომარისა და სხვათა იდეური რეიტინგები, რადგან ყველამ გაგვაწბილა, ამიტომ, ვინც ჩვენ მიმართ უფრო გულწრფელია და ვის პერსონაშიც ეჭვი არ შეგვაქვს, პოლიტიკურ ჩამონათვალშიც მას ვასახელებთ. თუკი საერო და პოლიტიკური სივრცე გაძლიერდება, მაშინ პატრიარქი რეიტინგების პოლიტიკურ ნაწილში ბუნებრივად აღარ მოხვდება. სხვათა შორის, ის მედიასაშუალებები, ვინც პატრიარქს დღემდე ეომება, იმ პოზიციისთვისაც აკრიტიკებენ, რასაც პატრიარქი პოლიტიკურ თუ სხვა საკითხზე აფიქსირებს და პოზიციის არქონისთვისაც. ესეც პარადოქსია! თვითონ ვითხოვთ მისგან, იყოს პოლიტიკოსი და ნებისმიერ საკითხში ჩაერიოს.

*დასასრული მე-6 გვერდზე*



## ირაკლი ღარიბაშვილი: „ქართული ოცნება“ სხვა პოლიტიკური ძალის გამარჯვებას არ დაუშვებს!“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ოზურგეთის მოსახლეობას მერობისა და მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატები წარუდგინა. როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა ისევე, როგორც საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში, „ქართული ოცნება“ ადგილობრივ არჩევნებშიც ღირსეულად და დამსახურებულად გაიმარჯვებს და არც ერთ რეგიონსა და ქალაქში არ დაუშვებს სხვა პოლიტიკური ძალის გამარჯვებას.

**„წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტებს არავინ უსმენდა და ყველაფერი დამოკიდებული იყო ერთი კაცის ნება-სურვილზე, ახლა კი ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რა სჭირდება თითოეულ რეგიონსა და რაიონს“.**

*„ინტერპრესნიუსი“*




## ანდერს ფოგ რასმუსენი: „საქართველომ ბევრი გააკეთა, რომ ნატო-ს წევრობისთვის საჭირო კრიტერიუმები შეესრულებინა!“

ეს განცხადება ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, ანდერს ფოგ რასმუსენმა ვილნიუსში, საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, თედო ჯაფარიძის კითხვის საპასუხოდ გააკეთა.

მისივე განმარტებით, ეს ბადებს სამართლიან კითხვას, რას ელის საქართველო მიმავალი სამიტისგან:

**„მართლაც, საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა ბოლო პერიოდში, მათ შორის, სამაგალითო არჩევნები, სასამართლო სისტემის რეფორმა, თავდაცვის სისტემის რეფორმა, ასევე საქართველო ნატო-ს არაწევრი ქვეყნებიდან ყველაზე დიდი კონტრიბუტორია ჩვენს ოპერაციებში ავღანეთში. საქართველომ ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ შეესრულებინა საჭირო კრიტერიუმები ნატო-ს წევრობისთვის და რა თქმა უნდა, ეს ბადებს სამართლიან კითხვას, თუ რას ელის საქართველო მომავალი სამიტისგან? მინდა გითხრათ, რომ ამჟამად, ოთხ ასპირანტ ქვეყანას ვაფასებთ. ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრი შეფასების რაპორტებს ივნისის ბოლოს, მათი მიღების შემდგომ განიხილავს და ვიმედოვნებთ, ამ დროისთვის მივაღწევთ კონსენსუსს იმაზე, თუ რა ფორმით ამოქმედდება ნატო-ს ღია კარის პოლიტიკა შემდგომ სამიტზე. ჩემი პირადი ხედვა კი ამ საკითხთან მიმართებაში ასეთია — მიღწეული პროგრესი ამა თუ იმ სახით, აუცილებლად უნდა შეფასდეს ამ სამიტზე“.**

აღსანიშნავია, რომ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე ნატო-ს გენერალური მდივნისგან დაინტერესდა, რა უნდა გააკეთოს საქართველომ კიდევ ან რას ელის ალიანსი ქართული საზოგადოებისგან იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა ნატოსთან ურთიერთობის გზაზე შემდეგ ეტაპზე გადავიდეს. ამასთან, ჯაფარიძემ მადლობა გადაუხადა ანდერს ფოგ რასმუსენს უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე მტკიცე პოზიციის გამო.

ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# სიგარეტზე აქციზის გადასახადი იზრდება

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**31 მაისს, თამბაქოს საწინააღმდეგო საერთაშორისო დღეს, თამბაქოს კონტროლის ალიანსმა ხელისუფლებას ამ პროდუქტზე სააქციზო გადასახადის გაზრდა მოსთხოვა. ალიანსის ხელმძღვანელის, გიორგი ბახტურიძის განცხადებით, მეზობელ ქვეყნებში, ევროპასა და აშშ-ში, თამბაქოს პროდუქტი გაცილებით ძვირია, ვიდრე საქართველოში. პროდუქტის სიძვირე კი მწეველთა რაოდენობის სიმცირეს იწვევს, ამიტომაც თამბაქოს კონტროლის ალიანსი მთავრობას მოუწოდებს, თამბაქოს მწარმოებელ კომპანიებს, ადამიანების ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის გამო, სოლიდური კომპენსაცია დააკისროს.**

## ლევან კალანდაძე: „გაძვირება თამბაქოსთან ბრძოლის მეთოდი არ არის!“



2013 წლის 15 მარტს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა დადგენილება, რომლითაც სამთავრობო კომისიამ თამბაქოს კონტროლის გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. სამთავრობო კომისია სხვადასხვა უწყებასა და არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, ქვეყანაში თამბაქოთი გამოწვეული დაავადებებისა და სიკვდილიანობის შემცირებაზე იზრუნებს.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მსოფლიოში თამბაქოს მოხმარება სიკვდილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. თამბაქოს გლობალური ეპიდემიის გამო, წელიწადში, დაახლოებით, 6 000 000 ადამიანი იღუპება, აქედან 600 000-ზე მეტი, მეორადი კვამლით ანუ „პასიური მოწევის“ გამო. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, საქართველოში ყოველწლიურად, 11 000 აქტიური და 3 000 „პასიური მწეველი“ თამბაქოს მავნე ზემოქმედების შედეგად იღუპება. ქვეყნის მოსახლეობის 30% აქტიური მწეველია, აქედან 55% — მამაკაცები, 5% ქალბატონები არიან. თამბაქოს მოხმარების საშუალო ასაკი 18 წლით განისაზღვრება, თუმცა 30% მოწევას 13 წლიდან იწყებს. ბავშვების 60% აცხადებს, რომ მაღაზიაში თამბაქოს შეძენა პრობლემა არაა.

ასეთი საშინელი სტატისტიკის მიუხედავად, თამბაქოს აკრძალვა ან აქციზის გადასახადის ზრდა პრობლემის მოგვარების უალტერნატივო საშუალება არ არის. ქვეყანაში, სადაც მძიმე სოციალური ფონის გამო, მწეველთა რაოდენობა მართლაც კატასტროფულად იზრდება, აქციზის გადასახადის ზრდა ცხოვრებას სწორედ ამ კატეგორიის მოსახლეობას გაუძვირებს. იმის გამო, რომ სიგარეტის ფასი გაიზრდება, აქტიური მწეველი შედარებით ნაკლებ ხარისხიან და იაფფასიან სიგარეტზე გადავა, რაც მისი ჯანმრთელობის გაუარესების რისკს გაზრდის.

მთავარი აქციზის გადასახადის ზრდა კი არა, მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებაა. თამბაქოს საწინააღმდეგო, უფრო ზუსტად, ანტინიკოტინური კამპანია სკოლებში უნდა დაიწყოს. რაც მეტად განათლებული და ინფორმირებულია ადამიანი, მით ნაკლებად ეტანება თამბაქოს. ყველაზე მნიშვნელოვანი ტელე-პროპაგანდაა. 90-იანი წლების დასაწყისში, ანტინიკოტინური კამპანია ევროპამ და აშშ-მაც გაიარა, სხვათა შორის, იმ პერიოდის ჰოლივუდის ფილმებში აქცენტი ცხოვრების ჯანსაღ წესსა და ფიტნესკლუბების პროპაგანდაზე კეთდებოდა. მეტიც, ბევრმა ცნობილმა ვარსკვლავმა სიგარეტის სარეკლამო რგოლში მონაწილეობაზე უარი თქვა. სხვათა შორის, ნორვეგიაში დღემდე მოქმედებს რეგულაცია, რომ თუ საზოგადოების ცნობილი სახე (მსახიობი, მომღერალი, მწერალი, პოლიტიკოსი), სატელევიზიო ინტერვიუს დროს სიგარეტს ეწევა, საკმაოდ სოლიდურ ჯარიმას იხდის. აქ მნიშვნელოვანი ერთი დეტალია: ტელეეთერში სიგარეტის მოწევა არავის აუკრძალავს, უბრალოდ, სოლიდური ჯარიმა დააწესეს.

რატომ არ უნდა გაიზარდოს თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის გადასახადი? — გარდა იმისა, რომ პროდუქცია გაძვირდება და ამით ისევ სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობა დაზარალდება, აქციზის გადასახადის ზრდა ბაზარზე ხელს კონტრაბანდული პროდუქციის ზრდას შეუწყობს. რაც მთავარია, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, 2013 წლის 1 სექტემბრიდან, თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი უკვე გაზარდა და შედეგად, მაგალითად, ,,ვინსტონი“ 2,20, „მარლბორო“ 3.00, „პარლამენტი“ 4.00 ლარი გახდა. 2013 წლის 1 სექტემბრიდან თამბაქოზე აქციზის გადასახადი ფილტრიან სიგარეტზე 15 თეთრით, უფილტროზე კი 5 თეთრით გაიზარდა. აქციზის გადასახადი ერთ კოლოფ ფილტრიან თამბაქოზე (20 ღერი) — 60 თეთრი, უფილტროზე კი 15 თეთრია.

„ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი **ლევან კალანდაძე** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ აქციზის გადასახადი, როგორც არაპირდაპირი გადასახადი, უშუალოდ პროდუქციის გაძვირებას იწვევს. მისი თქმით, აქციზის გადასახადის ზრდა გამოსავალი არ არის:

**„აქციზის გადასახადი ისევე, როგორც დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ), ბიზნესის კი არა, მომხმარებლის გადასახადია. შესაბამისად, თუ თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის გადასახადი გაიზრდება, ამით ბიზნესი კი არა, ისევ მომხმარებელი დაზარალდება, რადგან გამოდის, სწორედ მას ვუძვირებთ ცხოვრებას. რაც მთავარია, გადასახადის ზრდა თამბაქოს მოხმარების რაოდენობას არ შეამცირებს — მაშინ სიგარეტის მოწევა ავკრძალოთ და კრიმინალად გამოვაცხადოთ ის, ვინც მწეველია! ანტინიკოტინური კამპანიის ეტაპი მთელმა მსოფლიომ გაიარა, მაგრამ აქციზის გადასახადების ზრდით, აკრძალვითა და ხელოვნური ბარიერებით მწეველთა რაოდენობა არსად შემცირებულა. დარწმუნებული ვარ, ის, ვინც თამბაქოს პროდუქციის აქციზის გადასახადის გაზრდას ითხოვს და ასეთები ხელისუფლებაშიც მრავლადაა, ევროპაში ნამყოფები იქნებიან და კარგად ეცოდინებათ, რომ თამბაქოს პროდუქციის გაძვირება ბრძოლის მეთოდი არ არის! ჩვენ თუ ანტინიკოტინური კამპანიის გააქტიურება გვინდა, მაშინ განათლების დონე უნდა ავამაღლოთ და ხელი ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას შევუწყოთ“.**

„ვერსიის“ შეკითხვაზე, თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის ზრდა გამოიწვევს თუ არა სხვა სააქციზო პროდუქციის, მაგალითად, ალკოჰოლური თუ უალკოჰოლო სასმელის, გაზისა და საწვავის (ბენზინი, დიზელი) აქციზის ზრდას, ლევან კალანდაძე პასუხობს, რომ თამბაქოს აქციზის გადასახადი სულ სხვაა და მისი ზრდა ან შემცირება სხვა სააქციზო პროდუქციის ფასზე გავლენას არ იქონიებს.

ექსპერტი

# ლევან ვასაძის ფარული გეგმები

*მე-5 გვერდიდან*

რაც შეეხება ლევან ვასაძეს, ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარი საოცრებაა. დღიდან ვასაძის გამოჩენისა, ჩემთვის სრულიად გაუგებარია მისი ფუნქცია, სტატუსი, როლი და ადგილი ამ საზოგადოებაში. იგი საპატივსაცემოა ზუსტად ისე, როგორც თქვენი და ჩემი მეზობლები, საქართველოს თითოეული მოქალაქე. გარდა ამისა, საინტერესოა საზოგადოებრივი სტატუსის თემაც. ეს სტატუსი გაქვთ თქვენ, როგორც ჟურნალისტს, მე, როგორც ანალიტიკოსს, აქვთ საჯარო მოხელეებს, პოლიტიკოსებს, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს და ა.შ. აი, საზოგადოებრივი სტატუსის კონტექსტში, ლევან ვასაძე არავის და არაფერს წარმოადგენს, იგი არავინ არის! რეალურად, მხოლოდ სოციალური სტატუსი გააჩნია, რაც ფინანსური შემოსავლის მოცულობით იზომება.

**— ამ სტატუსის ნაწილია ჩოხა, ეროვნული ტრადიციების სადარაჯოზე დგომა, მართლმადიდებლობა?**

— ქართველობა მხოლოდ ჩოხით არ ვლინდება. გარდა ამისა, ლევან ვასაძე დიდ ამპარტავნებას ავლენს, მართლმადიდებელი ამპარტავანი კი, როგორც ცნება, ბუნებაში არ არსებობს! არ შეიძლება, ადამიანი საკუთარ თავზე ფიქრობდეს, რომ მთელი მოსახლეობისგან განსხვავებით, ზეამაღლებული ფიგურა, მეტიც, ზექართველია! ჩემს ბავშვობაში ძალიან მოდური იყო ოხუნჯობა მოლა ნასრედინის შესახებ. ერთ იგავში, მოლამ ცხვარი მოიპარა, ხორცი დაარიგა და ტყავი და ფეხები დაიტოვა. შემდეგ თქვა, სახელში ჩამეთვალა და მოგებაც დამრჩაო ანუ საკუთარი თავი იმდენად უნიკალურად წარმოაჩინა, ქურდი კი არა, მოწყალე კაცი გამოვიდა. არ ვიცი, მეცენატის სტატუსს ვინ რის ხარჯზე იღებს, მაგრამ ფაქტია, დღეს ყველაზე დიდი ბიზნესი მთელ მსოფლიოში სწორედ ქველმოქმედებაა.

**— ყველა ქველმოქმედი პარლამენტის გადაყენების მოთხოვნითა და სხვადასხვა კანონისა თუ სექსუალურ უმცირესობებზე მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიციით არ გამოდის...**

— ეს ძალიან ცნობილი პროპაგანდისტული მეთოდია. ჩვენ ამას წინარე კამპანიას ვეძახით: ეს ისეთი მოქმედებებია, რაც ჩვენი მიზნების შესრულებით უნდა დაგვირგვინდეს. არ ვთხოვ ლევან ვასაძეს, გულუხვი იყოს, არც მისი ბიზნესის წარმომავლობა მაინტერესებს, არც ის მინდა, მისი შემოსავლები უფრო გამჭვირვალე გახდეს, მაგრამ აქეთ, ჩემგან ითხოვს მოსმენასა და საჯარო ტრიბუნის დათმობას. ზოგადად, ასეთი ადამიანები იმით სარგებლობენ, რომ ჩვენი მოსახლეობის უმეტესობა პათეტიკაზეა ორიენტირებული. დღემდე მოგვწონს ხმამაღალი ლოზუნგები, სადღეგრძელოები, მოგვწონს ჩოხა და ბევრი შვილი... ვფიქრობ, ლევან ვასაძე არის თავხედი ადამიანი. პატრიარქსაც კი არ აქვს მკაცრი ტონი და პირდაპირი დირექტივები, როგორ ვიცხოვროთ, მით უმეტეს, ეს უფლება თავად მივეცით, ლევან ვასაძისთვის კი ეს უფლება არავის მიუცია! ვასაძე ჩვეულებრივი დიქტატორის, უფრო სწორად, ვერშემდგარი ძალაუფალის ტიპაჟია. ის ან მისი მსგავსი ადამიანი ქვეყნის ლიდერი რომ გახდეს, მოსახლეობის ფანატიკოსი ნაწილის გარდა, ნებისმიერი მოაზროვნე ქვეყნიდან უნდა გაიქცეს, რადგან ნებისმიერ ჩვენგანს საწინააღმდეგო აზრის გამოთქმისას აუცილებლად ჩაქოლავს.

**— არსებობს ინფორმაცია, რომ ლევან ვასაძეს მხარს სინოდის მცირე ნაწილი უჭერს, რომლის კურთხევითაც, საშემოდგომოდ ახალი პოლიტიკური ძალის შექმნას გეგმავს. ხომ არ შეიძლება, იგი რუსეთის ახალ დასაყრდენად მოვიაზროთ, როგორც ეს, თავის დროზე, ზურაბ ნოღაიდელმა და ნინო ბურჯანაძემ სცადეს?**

— საერთოდ, ჯერ იყო ირინა სარიშვილი, განსხვავებული მოსაზრებებით, რომელიც უცებ გაამარგინალეს და გვერდზე გაწიეს. მერე რუსეთი უკვე იმ რეჟიმში იყო, ოღონდ ვინმეს ინტერესი გამოეჩინა და ნებისმიერს დააფინანსებდა. ასე გაჩნდნენ ნოღაიდელიცა და ბურჯანაძეც, თუმცა ჩვენი დეგრადაციის ხარისხი იქამდე გაიზარდა, ახლა პუტინს „ქასთინგი“ აქვს გამოცხადებული, ვინ დააფინანსოს, რადგან მსურველი და მახვეწარი ბევრია. ეს თანამედროვე ქართველობის კრიზისია. თეორიულად, გამორიცხული არაა, ვასაძე ბუნებრივად გამოირჩა ამ „ქასთინგში“. უბრალოდ, იგი მეტად შენიღბულია და ამიტომ საშუალება არ გვაქვს, კონკრეტული ბრალი წავუყენოთ. ჩვენ მაფიოზური მმართველობის რეჟიმში გადავდივართ, როცა რეალური მმართველები არ ჩანან, ხალხის წინაშე პირდაპირი ვალდებულებები არ აქვთ, მაგრამ ვითარებას აკონტროლებენ. ლევან ვასაძე სულელი უნდა იყოს, რომ პირდაპირი მმართველის სტატუსი მოითხოვოს. დიდი ალბათობით, ის შენიღბული იქნება, თუმცა არის მეორე ვარიანტიც — იგი გახდება პირდაპირი მმართველი, თუ საქართველო იმაზე უარეს ქვეყნად გარდაიქმნება, ვიდრე ირანია. მაშინ ცხვრების ქვეყანას მივიღებთ, არქიფოთი სათავეში. ჩემი აზრით, ძალიან საგანგაშო ტენდენციაა იმ ლოზუნგების წინ წამოწევაც, რომლითაც ლევან ვასაძე გამოდის. ესენია — ქართველობა, იდენტობა და მართლმადიდებლობა დამახინჯებული გაგებით. ვასაძე ამ ლოზუნგებს ძალიან ვიწრო ნაციონალურ ჭრილში ხედავს, ოღონდ ქვეყნის საწინააღმდეგო და ანტინაციონალური კუთხით. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად — დავანგრიოთ მეჩეთი და სინაგოგა და მათ ადგილას სამი ეკლესია ავაშენოთ. ერთი სიტყვით, ღმერთი მაძლევს არჩევანის თავისუფლებას, მაგრამ ამის უფლებას არ გვაძლევს ლევან ვასაძე! ლევან ვასაძის მიერ შეთავაზებული ქართველის მოდელში, რეალურად, ქართველი კაცი დაიღუპება. ეს აბსოლუტურად ანტიქართული მოდელია. თუ იატაკის ჯოხს ჩოხას ან კოსტუმს ჩამოვაცვამთ, ამით არც ქართველი გახდება და არც ინტელიგენტი.

**— როგორ ფიქრობთ, რა დასაყრდენი აქვს ლევან ვასაძეს და შეიძლება თუ არა, ამ მოვლენების ფონზე, შემოდგომაზე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით, გაზრდილი ძალაუფლებითა და ამბიციებით მოგვევლინოს, პარტნიორებთან ერთად?**

— როგორც ჩანს, ლევან ვასაძემ დასაყრდენი იმაზე ადრე შექმნა, ვიდრე შევამჩნიეთ. როცა გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდა და „ლონდრედ“ მონათლეს, მაშინვე ვთქვი, დააცადეთ და ის ახალ პოლიტიკურ პლატფორმას შექმნის, ლევან ვასაძის ხაზით-მეთქი. ამ ფრაზამ ისეთი რეაქცია გამოიწვია, ვიფიქრე, შევცდი-თქო. დღეს სხვა რეალობაა. უხეშად რომ ვთქვათ, თუ ვასაძეს მართლაც აქვს პოლიტიკური ამბიციები, ან გიორგი მარგველაშვილი უნდა იყოს მისი პოლიტიკის გამტარებელი, ან მარგველაშვილმა ხელი უნდა შეუწყოს მის მოსვლას და ვასაძის ხელისუფლებაში საკუთარი როლი მოირგოს. ლევან ვასაძის რეიტინგი მაღალია, მაგრამ ამ ეტაპზე, ძალიან ამორფული ისევე, როგორც გიორგი მარგველაშვილს შეუძლია პოლიტიკურ პროცესებში გარდატეხის შეტანა, მაგრამ ახლა ამას მოერიდება. ლევან ვასაძეს აქვს შანსი, საზოგადოების შეხედულებები ანტიდასავლური და ანტისახელწმიფოებრივი გზით წარმართოს. ერთადერთი, რაც მკაფიოდ ჩანს, ისაა, რომ საქართველოში ანტიდასავლური სივრცის შექმნა შეუძლია, რაც ჩვენი ქვეყნის დაღუპვასა და რუსეთზე დამონებას ნიშნავს. დღეს ხომ ახმედ კადიროვი ძალიან კმაყოფილია, შერონ სტოუნიც სტუმრობდა, დიდი ოქროებიც უკეთია, მილიარდერია — კაცმა ფულსა და ძალაუფლებას მთელი ქვეყანა შეწირა და ჩვენ არც ეს მოდელი უნდა გამოვრიცხოთ საქართველოში. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, მაშინ არის საშიშროება, ლევამ ვასაძე ქართველ კადიროვად ჩამოყალიბდეს!

# პატიმრის თვითმკვლელობის 22 მცდელობა და სკანდალური წერილი ციხიდან

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ისტორია, რომელიც „ვერსიას“ პატიმარმა ციხიდან მოწერა, გულგრილს არავის დატოვებს. მართალია, ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ სასჯელაღსრულების დაწესებულება დღემდე მაინც „21-ე საუკუნის ჯოჯოხეთად“ მიიჩნევა, ამიტომ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელმაც რამდენიმე საპატიმროში 20 წელი გაატარა... რევაზ შაინიძე პირველად 1991 წლის 4 თებერვალს დაიჭირეს და პირველი სასჯელი 2000 წლის 8 თებერვალს მოიხადა. ციხეში მეორედ 2001 წელს შებრუნდა და სასჯელს 2008 წლის ნოემბრამდე იხდიდა... 2009 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის 22 დეკემბრამდე გეგუთის №14 კოლონიაში იმყოფებოდა. მერე, №6 კოლონიაში გადაიყვანეს, სადაც 24-საათიანი ვიდეოდაკვირვების ქვეშ იყო. ამ ხნის განმავლობაში, შაინიძემ თვითმკვლელობა სხვადასხვა მეთოდით რამდენჯერმე სცადა. ამასთან, სახალხო დამცველის ოფისსა თუ სხვა უფლებადამცველ ორგანიზაციებს, ასევე პრეზიდენტსა და პრემიერს არაერთი წერილიც გაუგზავნა. მივიდა თუ არა ეს წერილები ადრესატამდე, სხვა საკითხია. ჩვენამდე მოსულ 40-გვერდიან წერილს კი შემოკლებით გთავაზობთ და ამით რევაზ შაინიძის თხოვნასაც ვასრულებთ.**




„გთხოვთ, თუ ვინმეს შემოგრჩათ სამართლიანობის შეგრძნება, არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციას, რამენაირად მოახერხეთ და რამენაირად მომინახულეთ. ან, თუ შესაძლებლობა გაქვთ, აცნობეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, პატიმართა და ადამიანების უფლებების დამცველებს, რომ შემხვდნენ და დეტალურად, ფაქტების წარმოდგენით, ჩემგან უფრო მეტ სიმართლეს გაიგებთ... 1991 წლიდან დღემდე, სულ წელიწადი და 6 თვე ვიყავი თავისუფალი. პირველი სასჯელი, 9 წელი მოვიხადე და 2000 წლის 8 თებერვალს გავთავისუფლდი. არ უარვყოფ, წარსულში დანაშაული ჩავიდინე, მაგრამ 2000 წელს, ღმერთის წინაშე, მშობლების საფლავზე დავიფიცე, მშიერიც რომ მოვკვდე, დანაშაულს აღარ ჩავიდენ-მეთქი, თუმცა ცილისწამების მსხვერპლი გავხდი და 7,5 წელი ტყვეობაში გავატარე. 2008 წლის ნოემბერში გავთავისუფლდი და ზუსტად 100 დღეში მეორედ გავხდი ცილისწამების მსხვერპლი ალალი დედმამიშვილებისგან, რომლებმაც სული ეშმაკს მიჰყიდეს. ასე დამასამარეს ცოცხლად და მოისყიდეს პოლიცია-პროკურორ-მოსამართლეები. 13 წელია, ღირსება მაქვს შელახული, სულში მაქვს ჩაფურთხებული, ვარსებობ და არა — ვცოცხლობ, მაგრამ თავმოყვარეობა არ დამიკარგავს და არ გავბოროტებულვარ. სულ ორ-სამჯერ მომეცა შანსი, ტელეფონით დავლაპარაკებოდი ჩემს ქალიშვილს, მეგის, რომელსაც მისი დედა და ჩემი ყოფილი მეუღლე მიმალავს. მყავს მეორე შვილი, ვაჟი, რომელიც რუსეთში ცხოვრობს და მას მხოლოდ ფოტოსურათით ვიცნობ. ჩემს შვილებთან არც პაემნისა და არც სატელეფონო საუბრის საშუალება არ მეძლევა. იმის მიუხედავად, რომ ვიცი, მეგის ჩემთან ურთიერთობა სურს, მაგრამ ოჯახის წევრები უშლიან...

№6 დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ, კარანტინში ყოფნის დროს, დავწერე 3 განცხადება ნანა კაკაბაძის, პრეზიდენტადწოდებული გიორგი მარგველაშვილისა და ასევე პრეზიდენტის ადმინისტრაციის სახელზე. წერილი მივწერე სასჯელაღსრულების სამინისტროს გენინსპექციასაც, თუმცა ეს წერილები არ გაიგზავნა. ამაში ხელს ციხის ადმინისტრაცია მიშლიდა და ჩემთან რეგისტრაციის ნომრის არმქონე და ბეჭედდაურტყმელი ჩემივე წერილების ქსეროასლები მოჰქონდათ. აბუჩად ამიგდეს და ჩემი მდგომარეობიდან გამოყვანა გადაწყვიტეს. ამის გამო, ბალიშითა და ციხის თეთრეულით ორჯერ ვცადე თავის დაწვა იმის გამო, რომ ციხის ადმინისტრაცია ჩემს კანონიერ მოთხოვნას არ ასრულებდა. 1 თვის მანძილზე, რამდენიმე თვითდაზიანება მივიყენე, რის შედეგადაც შევხვდი გენინსპექციის წარმომადგენლებს. დამპირდნენ, რომ ჩემი მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ოფისს შეატყობინებდნენ და ისინი აუცილებლად მომინახულებდნენ. ციხის ადმინისტრაციამ 22-ჯერ მიბიძგა თვითმკვლელობისკენ და მათი მიზანი იყო, ამ ყველაფერს ჩემივე ხელით, ჩემი სიკვდილი მოჰყოლოდა. საკანში საკუთარ თავს 11-ჯერ წავუკიდე ცეცხლი, 3-ჯერ მინით თავი დავიჩეხე, 6-ჯერ „შტირი“ ჩავირტყი და 2-ჯერ — წვეტიანი მინა გულის არეში, 2-ჯერ ლურსმნები და მეტალის 3-სანტიმეტრიანი ნაჭერი გადავყლაპე. ამბობდნენ, ამას ოჯახური მდგომარეობის გამო აკეთებსო, არადა, ამ მდგომარეობამდე სწორედ ციხის ადმინისტრაციის აგდებულმა დამოკიდებულებამ და ჩემი კანონიერი უფლებების შელახვამ მიმიყვანა. სატელეფონო საუბრების აკრძალვის გამოც, არაერთხელ ვცადე თვითმკვლელობა, თუმცა ყოველ ჯერზე მპასუხობდნენ, წერილებს ვერ ვგზავნით და ვერ ვიღებთ, რადგან სამუშაო საათები დასრულდა, კანცელარიაში ბეჭედი დაიკარგაო და ა.შ. ამ დამამცირებელ პასუხებს იმიტომ მცემდნენ, რომ ეს მაზოხისტები ჩემი მორიგი თვითმკვლელობის მოლოდინში იყვნენ... ჩემი მოკვლის დაკვეთა ადმინისტრაციას დედოფლისწყაროს ყოფილი მაღალჩინოსნებისგან ჰქონდათ, რომლებმაც 2001 წელს, 15 000 დოლარის ოდენობის ქრთამის სანაცვლოდ, უმოწყალოდ გამწირეს. ამ პირებს დღესაც მაღალი თანამდებობები უკავიათ. გამომძიებელ ნანობაშვილსა და პოლიციის ყოფილ უფროს „ტაშკანას“ დედოფლისწყაროს მოსახლეობა დღემდე ტერორში ჰყავთ. მათი საძმოები კი მთავრობაში კიდევ უფრო მაღალ თანამდებობაზე არიან. კონკრეტული სახელების დაწერა კი არა, ის მაშინებს, რომ მალე სააკაშვილზე უარესი რეჟიმი ჩამოყალიბდება საქართველოში და ქართველ ხალხსა და პატიმრებს წინ უარესი ტანჯვა-წამება ელის. დაითვალეთ, რამდენი პატიმარი გარდაიცვალა წამებისგან ბოლო 1 წლის მანძილზე. ვიდრე ხალხს ციხეებში დირექტორებად დანიშნავენ, მათ ჯერ ფსიქიატრიული გამოკვლევა უნდა ჩაუტარონ! არაერთი საჩივარი დავწერე №14 დაწესებულების ყოფილი უფროსის, კახა ბებიას თაობაზე, მაგრამ ჩემს მიერ მოყვანილი ფაქტები პრეზიდენტმაც ფეხზე დაიკიდა და სად-ის გენინსპექციამაც... ამის შემდეგ თბილისში გამომიშვეს, ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე. სულგაყიდული ექსპერტი, ქეთევან შევარდნაძე 10 წუთით გამესაუბრა და წესიერად არც მომისმინა, ჩემს შესახებ დასკვნა ისე დაწერა. არც ერთი სამთავრობო ინსტანცია არ დამიტოვებია, რომ განცხადება არ მიმეწერა. 4-ჯერ მივწერე პრემიერს, 3-ჯერ — პრეზიდენტს, იუსტიციის მინისტრს და სამჯერ — სახალხო დამცველს, უჩა ნანუაშვილს, მაგრამ ისიც სულგაყიდული აღმოჩნდა. ეგენი სახალხო დამცველები კი არა, სახალხო დამქცევები არიან. იქ ჯერ კიდევ ის ადამიანები მუშაობენ, ვინც პატიმრების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ციხის ადმინისტრაციას აწვდიდა და მერე ამ ინფორმაციის საფუძველზე, „კარცერებში“ პატიმრებს ცემით ხოცავდნენ და ეტაპირებით ყველა №6 დაწესებულებაში, „კრიტში“ გადაჰყავდათ, რომელიც სასაკლაოდ იყო ქცეული. ასეა დღესაც. პატიმრების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას რამდენიმე პატიმრის სიცოცხლეც კი შეეწირა. დღეს ბევრ პატიმარს სიმართლის თქმისა ეშინია. მათ სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის განდობის შემდეგ, ციხის ადმინისტრაცია აწამებს. სახალხო დამცველის აპარატი ისე ჭრის და კერავს, როგორც აწყობს! იცით, რა პასუხი აქვს სახალხო დამცველის აპარატს ყველაფერზე? — გასაიდუმლოებულიაო!“

**2014 წლის 24 აპრილს რევაზ შაინიძე, ფსიქიატრიული დასკვნის საფუძველზე, ხონის საავადმყოფოში გადაიყვანეს და რედაქციის სახელზე წერილიც სწორედ ამ მისამართიდან მოვიდა. როგორც შაინიძე ირწმუნება, მის სიცოცხლეს საფრთხე ვინმე „ტაშკანასა“ და გამომძიებელ მამუკა ნანობაშვილისგან ემუქრება. ითხოვს, უფლებადამცველების მიერ მის მონახულებასა და კონკრეტული პირების წინააღმდეგ საქმის აღძვრას, რასაც, როგორც ამბობს, უჩა ნანუაშვილი და სახალხო დამცველის მთელი აპარატი უშლის ხელს, რადგან სოზარ სუბარსა და სასამართლოსთან არიან შეკრულნი. „ვერსიაში“ მოსული წერილი 2014 წლის 30 აპრილითაა დათარიღებული. გაურკვეველია, რა ბედი ეწია ამ ერთი თვის განმავლობაში პატიმარს, რომლის შესახებაც, კანონის მოთხოვნით, ყველა ინფორმაცია გასაიდუმლოებულია... დღეს რევაზ შაინიძეს პატიმრის კი არა, პაციენტის სტატუსი აქვს, რაც სასჯელაღსრულების სამინისტროსა და ჯანდაცვის უწყებასაც „მაგიური სიტყვის“ თქმას აიძულებს — საიდუმლოა. ეთიკის ნორმებსა და კანონის პირდაპირი მოთხოვნიდან გამომდინარე, არც ჩვენ შეგვიძლია, დავწეროთ მის მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ექსპერტიზის დასკვნის შესახებ, თუმცა საჭიროდ მივიჩნიეთ, დავკავშირებოდით ომბუდსმენის ოფისს.**

**მადონა ბასილაძე, ომბუდსმენის რეგიონული რწმუნებული:** — ეს პატიმარი სასჯელს თავდაპირველად, აღმოსავლეთში, სად-ის მეექვსე დაწესებულებაში იხდიდა. შემდეგ, ეტაპირებით გადაიყვანეს დასავლეთში და რამდენჯერმე ქუთაისის დაწესებულებაში მოვინახულეთ. ყველა იმ მოთხოვნას, რაც ჩვენთან დააფიქსირა, კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი რეაგირებაც მოჰყვა. ძირითადი მოთხოვნა დასავლეთში ეტაპირება გახლდათ, რათა პაემნების გამოყენების უფლება გაადვილებოდა; ასევე საუბრობდა დაწესებულების თანამშრომლობის მხრიდან მისი კორესპონდენციების ადრესატებამდე არგაგზავნაზეც.

**— რევაზ შაინიძე მძიმე ბრალდებას გიყენებთ და აცხადებს, რომ სახალხო დამცველის ოფისს პატიმრების მიერ მიწოდებული ინფორმაცია ციხის ადმინისტრაციასთან მიაქვს, რის გამოც პატიმრები სასტიკად ისჯებიან.**

— მტკიცება, ასე არ ყოფილა-მეთქი, არასერიოზულად მიმაჩნია. ეს სერიოზული ბრალდებაა, მაგრამ, როგორც იცით, იგი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობს და შესაძლოა, აკვიატებული აზრებიც გააჩნდეს. ყველა ის ინფორმაცია, რაც მოგვაწოდა კონკრეტული თანამშრომლების შესაძლო სამართალდარღვევებზე, ჩანიშნულია და ცნობები სამინისტროს მონიტორინგის სამმართველოს, ე.წ. გენინსპექციას გადაეგზავნა. სახელები და გვარები სიტყვასიტყვითაა დაფიქსირებული ჩვენი შეხვედრების ოქმებშიც, რაც ასევე გენინსპექციაშია გადაგზავნილი. სახალხო დამცველის შეხვედრა პატიმართან კონფიდენციალურია და ამ ინფორმაციის დაცვას კანონი პირდაპირ გვავალდებულებს. სწორედ სად-ის მონიტორინგის სამსახურია ის უფლებამოსილი ორგანო, ვინც უნდა დაადგინოს, დაირღვა თუ არა ციხეში შაინიძის უფლებები.

**— თქვენ როგორ აფასებთ, დაირღვა? ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანაც ხომ მძიმე დანაშაულია?!**

— კონკრეტული პასუხი არ მაქვს. გარკვეული ფიზიკური დაზიანებების კვალი აღენიშნება, მაგრამ ადვილი მისახვედრი უნდა იყოს, რომ ამ ადამიანს სხვა ტიპის დახმარება ესაჭიროება.

**— რამდენჯერმე ხაზი გაუსვით ფსიქიკურ პრობლემას. თუ პატიმრის მდგომარეობა ასეთი მძიმე იყო, რევაზ შაინიძე შესაბამის დახმარებას აქამდე რატომ არ იღებდა?**

— უკვე გადაყვანილია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

**— 20-წლიანი პატიმრობის მერე?**

— გააჩნია, როდის იჩინა თავი ფსიქიკურმა პრობლემებმა. დღეს შაინიძე მოთავსებულია საავადმყოფოში, სადაც შესაბამის მკურნალობას გადის. მისი ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ უფრო კონკრეტული ინფორმაციის მოწოდება კი მისივე უფლებების დარღვევაა. თუ ექსპერტიზის დასკვნას არ ეთანხმება, გასაჩივრება ან ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება შეუძლია, რაც წინა დასკვნას გააბათილებს.

## ვერსიანიუსი



### შსს-ს თანამშრომლებმა დიდი ოდენობით ქრთამის აღებისთვის ერთი პირი დააკავეს

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ამხილეს და დააკავეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გურამ ქობულაძე.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გურამ ქობულაძე, თანამდებობრივი უფლებამოვალეობების შესრულებისას, მოქალაქეს დაჰპირდა დაბა ქედაში მდებარე ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიის — 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემაში დახმარებას, რის სანაცვლოდაც, ქრთამის სახით, მოითხოვა და აიღო 30 000 აშშ დოლარი.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ე“ ქვეპუნქტით, რაც 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

*„ვერსიანიუსი“*

# ჯუბა ჯანდიერი კახა ცაბაძისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას მოითხოვს



## „რაც მოხდა, ქართველი ერის სირცხვილია, სიმართლე გამოძიებამ დააგინოს“

თამარ ლომსაძე

**კომპოზიტორთა კავშირის ირგვლივ აგორებული სკანდალი აქტუალობას არ კარგავს. რამდენად მართალია ინფორმაცია კომპოზიტორთა სახლში არსებული საროსკიპოს შესახებ, ამის დადგენა გამოძიების კომპეტენციაა. „ვერსიასთან“ ინტერვიუში, თავმჯდომარე კახა ცაბაძე კატეგორიულად უარყოფდა ამ ფაქტს და აცხადებდა, რომ კომპოზიტორთა გარკვეული ჯგუფი აქტიურად ებრძვის. ცაბაძის რისხვის ერთ-ერთი ადრესატი — საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, ქართული კულტურის რაინდი, კომპოზიტორი ჯუმბერ ჯანდიერი თავად დაგვიკავშირდა, რათა კიდევ ერთხელ დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია და აღშფოთება გამოეხატა იმ ეპითეტების გამო, რითაც კავშირის თავმჯდომარე მას და კიდევ რამდენიმე კომპოზიტორს მოიხსენიებს.**

— გულდასაწყვეტია, რომ კახა ცაბაძე შეურაცხმყოფელი ეპითეტებით, შორიდან გვესხმის თავს... არადა, გოგი ცაბაძის ჩრდილსამოფარებული ულირსი შვილი მამისადმი ჩვენი პატივისცემის გამო ავირჩიეთ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ...

**— კი, მაგრამ, როგორც თავად უწოდებთ „ულირსი ადამიანი“, კავშირის თავმჯდომარედ რატომ აირჩიეთ?**

— გოგის ფაქტორი ძალიან დიდი იყო... თან ბორჯომის სახლი უკვე დაკარგული გვქონდა. ვიფიქრეთ, ახალგაზრდაა, ენერგიული, კავშირს ახალი სისხლი სჭირდება... მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა, ყრილობამდე 50 პროცენტი ფონი უკვე მომზადებული ჰქონდა ჩვენი მხარდაჭერით, რასაც ახლა ძალიან ვნანობ. დიახ, ავირჩიეთ კავშირის თავმჯდომარედ, მაგრამ არა მისი დამსახურებისთვის... ახლა კი ჩვენ გვიწოდებს თაღლითებს, მრცხვენია, გზა რომ მივეცით და მწვანე შუქი ავუნთეთ... როგორც გაირკვა, ბინძური საქმეები უკეთებია, ადრე მუსფონდის დირექტორი იყო და იქაც ბევრი ცოდვა აქვს, თუმცა ეს ჩემი გასარჩევი არ არის.

რაც შეეხება ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორად მის არჩევას, ყოფილი დირექტორი, შალვა დავითაშვილი ჯერ დაკრძალულიც კი არ იყო, ეს ადგილი რომ დაისაკუთრა, ამის შემდეგ ჩარაზა კომპოზიტორთა კავშირი და ჩაკლა შემოქმედებითი მუშაობა, თუმცა არც ადრე იკლავდა თავს. ვაი, სირცხვილო! თუ საქართველოს ამ უნიჭო კაცის გარდა, მუსიკალურ სამყაროში არავინ ჰყოლია.

მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ კახა ცაბაძემ მისვლისთანავე ყველა სახელოვანი კომპოზიტორის ფოტო ჩამოხსნა და მხოლოდ თავისი და გოგის სურათები დატოვა, რაც ასე გაამართლა: მამაჩემის, გოგი ცაბაძის სურათი თუნდაც იმიტომ კიდია კედელზე, მაკონტროლოს, რათა ცხოვრების გზაზე შეცდომა არ დავუშვაო.

**— თუმცა, თავად აცხადებს, ყოველთვიური ჟურნალებიცაა კედელზე და საერთოდ, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებაო...**

— ჟურნალი შეცვლის ზაქარია ფალიაშვილისა და მელიტონ ბალანჩივაძის ფოტოებს?! როგორც ჩანს, მხოლოდ მამის კი არა, სხვების კონტროლიც სჭირდება — ბედნიერებაა, როცა რომელიმე კავშირს 80 წელს გადაბიჯებული წევრები ჰყავს და ღირსეული თავმჯდომარეებიც დიდი პატივისცემით ეპყრობიან მხცოვან მუსიკოსებს, თვითონ კი ასეთ ხალხს „გაპარპაშებულ კომპოზიტორებად“ მოიხსენიებს. დიახ, ჭკუა რომ ჰქონდეს, კიდეც უნდა გვაპარპაშოს, მაგრამ მან ყველაფერი მოგვისპო. საინტერესოა, როგორ შეაფასებდა ამ უტიფარ საქციელს გოგი ცაბაძე? იქნებ ჩვენ ვაპარპაშებთ ბატონ კახას, ჩვენი დუმილით — ყველაფერი მიისაკუთრა და საკუთარი შეხედულებისამებრ იქცევა.

**— თქვით, შემოქმედებითი საქმიანობა ჩაკლაო...**

— 2008 წლიდან ჩვენზე ამყარებდა იმედს. გვეუბნებოდა, ყველაფერს დაგიჯერებთ, რომ საქმე დაიძრას, შემოქმედებითი მუშაობა წინ წავიდესო... მერიამ სტუდიაც მისცა კომპოზიტორთა კავშირს, მაგრამ, როგორც თქვენ არ ჩაგიწერიათ იქ რამე, ისე ჩვენ. არც ნოტების კრებული გამოუცია ვინმესთვის, არც მუსიკალური ჩანაწერები... რეალურად, არაფერი კეთდებოდა — უამრავი კონკურსი ჩატარდა და 10-დან რვაში თავად იმარჯვებდა, გვიან აცხადებდა კონკურსს, რათა კომპოზიტორებს მომზადება ვერ მოესწროთ... სიცრუეა, თითქოს დაბეჭდილი კონვერტი მიდიოდა ჟიურიმდე, იგი იყო თავმჯდომარე და რესურსიც ჰქონდა, ყველაფერი თავის სასიკეთოდ შემოებრუნებინა, რასაც იმ ხალხის მეშვეობით აკეთებდა, ვინც ახლა მის მხარდამჭერად მოიაზრება... ამ ადამიანებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომელი კომპოზიტორის ნაწარმოები, რა დევიზით შედიოდა!

**— და ვინ არიან ეს ადამიანები, ან რატომ ამბობს ბატონი კახა, რომ თქვენ და კიდევ ხუთი კომპოზიტორი ებრძვით?**

— ხედავს ჩვენს უპირატესობას და ამიტომ! არ ვიცი, სხვებს რისი ეშინიათ, მაგრამ ჩვენ ღიად ვაფიქსირებთ საკუთარ პოზიციას... აბა, არ უნდა დაადგინოს გამოძიებამ, ნამდვილად არის თუ არა საროსკიპო კომპოზიტორთა სახლში? ფართი რომ გააქირავა, გასაგებია, მაგრამ ხომ უნდა შეემოწმებინა, რა გახსნეს იქ არაბებმა.

**— თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ ამის შესახებ?**

— კომპოზიტორთა აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა პრესაში გაჩნდა ინფორმაცია ჩვენთვის და სრულიად საზოგადოებისთვის მიუღებელი ფაქტის შესახებ — თითქოს აღმაშენებლის 123-ში, კომპოზიტორთა კავშირის შენობაში განთავსებულია საროსკიპო, რასაც გამოძიების შედეგად ავრცელებს არასამთავრობო ანტიკორუფციული კავშირის ხელმძღვანელი, უფლებადამცველი გიორგი ბურჯანაძე. კომპოზიტორთა ნაწილმა გადავწყვიტეთ, მივსულიყავით კავშირში და შევხვედროდით თავმჯდომარეს, რათა შეგვეტყო, რა ხდებოდა რეალურად, მაგრამ შენობაში მყოფმა ცაბაძემ ჩვენთან შეხვედრას თავი აარიდა და შენობაში მისულებს კარი გადაგვიკეტა, არ შეგვიშვა. ეს ფაქტი იქ მყოფმა ჟურნალისტებმაც დააფიქსირეს და ქუჩაში მოგვიწია ინტერვიუების მიცემა.

**— მას შემდეგ აღარ შეხვედრიხართ?**

— არა, ჩვენთან შეხვედრას გაურბის, მაგრამ წარსულ თუ ახლანდელ შეცდომებზე პასუხის გაცემა აუცილებლად მოუწევს... დოკუმენტები, რომელსაც ითხოვს, იმაზე მეტი არსებობს, ვიდრე წარმოუდგენია, ულირსი და შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით კი მხოლოდ საკუთარ თავს აყენებს ზიანს!

**— წარსულ შეცდომებში რას გულისხმობთ, ბატონო ჯუბა?**

— არ ვარ ის კაცი, ვინმეს რაღაც წამოვაძახო, დანარჩენი სისხლის სამართლის საქმეა და გამოძიებამ დაადგინოს სიმართლე. ისაა საინტერესო, რატომ არ შეგვიშვა შენობაში, რა, მამამისმა დაუტოვა კომპოზიტორთა სახლი კერძო საკუთრებაში? მე რომ მესვრის ტალახს, პლაგიატი თვითონაა, არაფრისშემქმნელი, მამამისის დანატოვარით რაღაცას ცდილობს და იმასაც ვერ აბამს თავს.

**— თუმცა, ბატონი კახა კომპოზიტორთა შორის დაპირისპირებაზე საუბრობს და ამბობს, რომ თქვენი დამოკიდებულება მაშინ გამოჩნდა, როცა კომპოზიტორი მერი დავითაშვილი უკანასკნელ გზაზეც კი არ გააცილეთ?**

— ჩემი უსაყვარლესი, სათაყვანებელი ადამიანის პატივისცემა კახა ცაბაძისგან არ მესწავლება, თავად აიძულებდა ქალბატონ მერი დავითაშვილსაც და ბატონ ბიძინა კვერნაძესაც მისთვის მხარი დაეჭირათ. ისინი მხოლოდ იმიტომ ეთანხმებოდნენ, რომ გოგი ცაბაძეს სცემდნენ პატივს, ამან კი კომპოზიტორთა სახლი თავის დუქნად მოიწყო და რასაც უნდა, იმას აკეთებს! ასე რომ, წავიდეს და დაამტკიცოს თავის სიმართლე, ეგ მაინც ჩვეულია სასამართლოებს...

**— რას გულისხმობთ?**

— ჰქონდა წინა წლებში ფინანსური დარღვევები და სასამართლო დავაც...

**— კი მაგრამ, ამ ფონზე მაინც დაუჭირეთ მხარი?**

— როდესაც ჩვენ ავირჩიეთ, გვეგონა, რაღაც შემოტრიალდებოდა, მაგრამ გამგეობაში ვისი აზრიც არ მოეწონა, გაუშვა, ხელი რომ არ შეშლოდა... კომპოზიტორთა სახლის კუთვნილი ფართები — კომპოზიტორთა სახლი, ლიტფონდი ალ. ყაზბეგის გამზირზე, სასაწყობე ფართი მოსკოვის გამზირზე გაქირავებული აქვს და ნახევარი საშტატო ერთეული დაითხოვა — ფული არ მაქვსო.

**— არც უარყოფს. აკონკრეტებს კიდეც, რომ აღმაშენებლის 123-ში, კომპოზიტორთა სახლი არაბზე გააქირავა...**

— ჰოდა, იმ არაბმა გახსნა სწორედ ის საშინელება! რაც მოხდა, ქართველი ერის სირცხვილია. კარიც იმიტომ ჩაგვიკეტა, ნივთმტკიცება დაემალა... ეს ეჭვი თავისთავად გაჩნდა, როცა კომპოზიტორები და ჟურნალისტები არ შეგვიშვა და ახლა თვითონ ჩივის ჩვენს წინააღმდეგ. იჩივლოს, კი ბატონო... მე კი პრეტენზია მაქვს იმაზე, რომ სახელოვან კომპოზიტორებს მასხრად გვიგდებს... თუ მართალი კაცი ხარ, რატომ გაურბი საჯარო შეხვედრებს? მხოლოდ პრესის საშუალებით რომ გვმოძღვრავ. არც იკადრე და გიორგი გაბუნიას თოქ-შოუშიც არ გამოცხადდი, თუმცა გამოსაჩენი მართლაც არ გაქვს. „თაღლითი, ბინძური და პლაგიატი“ ვინცაა, ყველამ კარგად იცის, შენი წარსულითა და დღევანდელი უმსგავსო საქმიანობით. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ქონებასა და ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმს პირადი ინტერესებისთვის იყენებ. ახლა ვეღარც შენი გამგეობა და ვეღარც შენი ადვოკატი ვეღარ გიშველის.

რაც შემეხება მე — ჯუბა ჯანდიერს, იმავე გაზეთებში, სადაც შენი ინტერვიუები დაიბეჭდა, პირადი შეურაცხყოფისთვის, პატივისა და ღირსების შელახვისთვის საჯაროდ, წერილობით ბოდიშის მოხდას მოვითხოვ!

**P.S. კომპოზიტორთა კავშირში არსებულ დაპირისპირებაზე „ვერსიამ“ ორივე მხარის პოზიცია შემოგთავაზათ. ალბათ კომპეტენტური ორგანოები შესაბამის დასკვნას დადებენ და სიმართლეც გაირკვევა, მანამდე კი ჩვენი გაზეთი ამ თემას აღარ მიუბრუნდება.**

## ვერსიანიუსი

### ცესკო საგანგებო განცხადებას ავრცელებს

ცესკო-ს თავმჯდომარე თამარ ჟვანია კანდიდატებზე ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

**„საარჩევნო ადმინისტრაციაში შემოვიდა კანდიდატების ცალკეული განცხადებები, სადაც საუბარია ზეწოლის ფაქტებზე, რის გამოც ისინი იძულებულნი ხდებოდნენ, მოეხსნათ საკუთარი კანდიდატურა. ეს პროცესი სახიფათოა, ვინაიდან, შესაძლოა, გამოიწვიოს კონკრეტული საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო სიის გაუქმება. მსგავს ფაქტებზე ბოლო პერიოდში არაერთი განცხადება გააკეთეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და არჩევნებში ჩართულმა სხვა მხარეებმაც.**

**აღნიშნული ქმედებები პირდაპირი საშიშროებაა, შეიქმნას არათანაბარი საარჩევნო გარემო და ზიანი მიადგეს საარჩევნო პროცესს.**

**არსებითად მნიშვნელოვანია, აღიკვეთოს ქმედებები, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებს არჩევნებზე, ვინაიდან ჩვენთვის უმთავრესი პრიორიტეტია უზრუნველვყოთ თითოეული ამომრჩევლის საარჩევნო უფლება, შევქმნათ ყველა პირობა, წინასაარჩევნო პერიოდი და კენჭისყრის დღე წარიმართოს თანაბარ და სამართლიან გარემოში.**

**ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვუწოდებ პასუხისმგებელ უწყებებს, მიიღონ შესაბამისი ზომები მსგავსი ზეწოლის ფაქტების გამოძიების, აღკვეთისა და პრევენციის მიზნით. ამასთან, საარჩევნო ადმინისტრაცია ოფიციალურად გადაუგზავნის სამართალდამცავ ორგანოებს მის ხელთ არსებულ მონაცემებს დაუყოვნებლივ რეაგირებისთვის“.**

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

### ძლიერმა ქარმა და სეტყვამ აჭარაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გაანადგურა



აჭარის მაღალმთიანეთში, კერძოდ, ქედის სოფლებში ძლიერმა ქარმა და სეტყვამ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მთლიანად გაანადგურა.

სტიქიის შედეგად, დაზარალდა საცხოვრებელი სახლები. ძლიერმა ქარმა კი ხეები მოგლიჯა.

ადგილობრივების განცხადებით, ზარალი საკმაოდ დიდია.

სტიქიის შედეგად მიყენებულ ზარალს სპეციალური კომისია დაითვლის.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | | 4 | 9 | 2 | | 7 |
| 7 | | 1 | 6 | | | | | 5 |
| 2 | | | | | 8 | 6 | | |
| | | | 1 | | | | | 4 |
| | | | | 7 | | | | |
| 5 | | | | | 3 | | | |
| | | 5 | 8 | | | | | 9 |
| 9 | | | | | 6 | 3 | | 8 |
| 8 | | 2 | 3 | 9 | | 4 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | 9 | | | 2 | |
| | | 9 | 2 | 5 | | | | |
| 8 | | | | | 1 | | | |
| 3 | | 6 | 4 | | | 7 | | |
| 7 | | 8 | | | | 2 | | 3 |
| | | 2 | | | 3 | 1 | | 6 |
| | | | 3 | | | | | 1 |
| | | | | 6 | 2 | 5 | | |
| | 6 | | | 4 | | | 7 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 8 | | | | |
| 3 | | 8 | | 5 | | 1 | | 7 |
| | 2 | | | | 1 | | | 8 |
| 2 | 3 | | | | | 4 | | |
| | | 5 | 6 | | 3 | 7 | | |
| | | 1 | | | | | 8 | 9 |
| 1 | | | 8 | | | | 5 | |
| 8 | | 3 | | 1 | | 9 | | 4 |
| | | | | 7 | | | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | | 3 | | | 7 | |
| 9 | | 5 | | | | | | 2 |
| | | | 4 | 8 | 5 | | | |
| | 2 | | | 9 | | 5 | | |
| | | | 3 | | 7 | | | |
| | | 7 | | 2 | | | 8 | |
| | | | 9 | 6 | 4 | | | |
| 4 | | | | | | 2 | | 1 |
| | 7 | | | 1 | | | 9 | |



## ვაქცინა მოწევის წინააღმდეგ

შესაძლოა, სულ მალე ახდეს იმ მწეველთა ოცნება, რომელთაც სურთ, ამ მავნე ჩვევას თავი დააღწიონ. მეცნიერთა ჯგუფმა კაროლინის უნივერსიტეტიდან შეიმუშავა ექსპერიმენტული პრეპარატი, რომელიც ნიკოტინის მიღების სურვილს კლავს. სწავლულები ამ ახალი საშუალების შექმნაზე ათი წელი მუშაობდნენ. ვაქცინის გამოცდაში მონაწილეობას 400 მოხალისე მიიღებს ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებიდან. პრეპარატი უჩვეულო სახით ზემოქმედებს: ის ადამიანის იმუნურ სისტემას აიძულებს, რეაგირება მოახდინოს ნიკოტინზე, რაც ჩვეულებრივ შეუმჩნეველი რჩება ხოლმე. ამგვარად, ტვინის ის ზონა, რომელიც მოწევისგან დადებითი ემოციების მიღებაზეა პასუხისმგებელი, გამღიზიანებლის გარეშე რჩება და ადამიანიც ველარ გრძნობს რაიმე ეფექტს სიგარეტის მოწევისგან. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ დროთა განმავლობაში ამ ვაქცინით აცრილი ადამიანი, უბრალოდ, მიატოვებს ამ უსარგებლო საქმიანობას, თუმცა, ეს ჯერჯერობით მხოლოდ თეორიაა. როგორ იმოქმედებს პრეპარატი პრაქტიკაში, ამას მოხალისეების მეშვეობით გაარკვევენ. შვედეთში ამ დღეებში იწყებენ ექსპერიმენტს, რომლის მონაწილეებსაც ოთხი თვის განმავლობაში ინექციებს გაუკეთებენ (თვეში ერთხელ), მთელი წლის განმავლობაში კი მათ ვაქცინის ავტორები დააკვირდებიან.

## ქაღალდის ნაგლეჯით მთელი ქონება იშოვა




ავსტრალიელმა გამყიდველმა მთელი ქონება მიიღო ონლაინ-ვაჭრობაზე გატანილი ქაღალდის ნაგლეჯით, რომელზეც ერთადერთი სიტყვა The ეწერა „მწვანე კონტინენტის“ მცხოვრები საკუთარ უჩვეულო ლოტს eBay -ს აუქციონზე ყიდდა, წაწერით — „ვყიდი სიტყვას The, რომელიც A4-ფორმატის ქაღალდის ნახევზეა დაწერილი ლურჯი ბურთულიანი პასტით. ეს სიტყვა გამოიყენება ათასობით წინადადებაში“ და მაგალითად რამდენიმე წინადადებას ასახელებდა, თუმცა ამ უჩვეულო ლოტის ერთადერთ ნაკლად ასო T-ს გაცრეცილ მდგომარეობას მიუთითებდა. რამდენიმე დღის წინ, მყიდველებისგან განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე, ლოტის ფასი უკვე 40 ათას დოლარზე მეტი იყო, თუმცა რა თანხა აიღო ქაღალდის ნაგლეჯში მისმა მფლობელმა, უცნობია.

## მექსიკელებმა ვირი დააპატიმრეს

მექსიკის ჩიაპასის შტატის პოლიციელებმა ციხეში ვირი ჩასვეს, რომელსაც ადამიანებზე თავდასხმა „ედება ბრალად“. რამდენიმე დღის წინ, მოულოდნელად გაავებულმა ცხოველმა 63 წლის მოხუცი დაკბინა, მერე კი მეორე მამაკაცს გამოუდგა. სამართალდამცავთა განცხადებით, ვირი რომ დაეწყნარებინათ, ექვსი ადამიანის დახმარება დასჭირდათ. აბუნტებული ცხოველი დროებით ადგილობრივ ციხეში დაამწყვდიეს, რომელსაც საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი, მთვრალი ადამიანებისთვის იყენებენ. პოლიციელთა თქმით, ვირი ციხეში მანამდე დარჩება, ვიდრე მისი პატრონი დაზარალებულების მკურნალობის ხარჯს არ გადაიხდის.



## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | 4 | 2 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 7 | 9 | 6 | 5 | 4 | 3 | 8 | 2 | 1 |
| 2 | 8 | 5 | 7 | 1 | 6 | 9 | 4 | 3 |
| 9 | 6 | 3 | 4 | 8 | 5 | 2 | 1 | 7 |
| 5 | 2 | 7 | 3 | 6 | 1 | 4 | 8 | 9 |
| 4 | 1 | 8 | 9 | 7 | 2 | 3 | 5 | 6 |
| 8 | 5 | 2 | 6 | 3 | 7 | 1 | 9 | 4 |
| 3 | 4 | 1 | 8 | 5 | 9 | 6 | 7 | 2 |
| 6 | 7 | 9 | 1 | 2 | 4 | 5 | 3 | 8 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 3 | 8 | 2 | 7 | 1 | 9 | 6 |
| 2 | 1 | 9 | 6 | 5 | 4 | 8 | 7 | 3 |
| 8 | 7 | 6 | 3 | 1 | 9 | 5 | 4 | 2 |
| 9 | 6 | 8 | 7 | 4 | 3 | 2 | 5 | 1 |
| 7 | 5 | 4 | 1 | 6 | 2 | 3 | 8 | 9 |
| 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 | 6 | 7 |
| 6 | 8 | 2 | 5 | 9 | 1 | 7 | 3 | 4 |
| 4 | 9 | 7 | 2 | 3 | 8 | 6 | 1 | 5 |
| 1 | 3 | 5 | 4 | 7 | 6 | 9 | 2 | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 3 | 6 |
| 7 | 3 | 1 | 2 | 4 | 6 | 9 | 8 | 5 |
| 9 | 8 | 6 | 7 | 5 | 3 | 1 | 4 | 2 |
| 6 | 4 | 7 | 9 | 8 | 5 | 3 | 2 | 1 |
| 3 | 2 | 5 | 6 | 1 | 4 | 8 | 7 | 9 |
| 1 | 9 | 8 | 3 | 7 | 2 | 6 | 5 | 4 |
| 5 | 7 | 4 | 8 | 6 | 1 | 2 | 9 | 3 |
| 2 | 1 | 9 | 5 | 3 | 7 | 4 | 6 | 8 |
| 8 | 6 | 3 | 4 | 2 | 9 | 5 | 1 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 9 | 2 | 8 | 6 | 5 | 7 | 4 |
| 5 | 4 | 2 | 3 | 7 | 1 | 8 | 9 | 6 |
| 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 9 | 3 | 2 | 1 |
| 7 | 3 | 5 | 1 | 2 | 8 | 6 | 4 | 9 |
| 6 | 2 | 4 | 9 | 5 | 3 | 1 | 8 | 7 |
| 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 | 2 | 5 | 3 |
| 4 | 6 | 7 | 8 | 1 | 5 | 9 | 3 | 2 |
| 2 | 8 | 3 | 6 | 9 | 7 | 4 | 1 | 5 |
| 9 | 5 | 1 | 4 | 3 | 2 | 7 | 6 | 8 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 1 | 2 | 8 | 9 | 7 | 5 | 3 | 4 |
| 5 | 9 | 7 | 4 | 6 | 3 | 2 | 8 | 1 |
| 4 | 3 | 8 | 1 | 5 | 2 | 7 | 9 | 6 |
| 2 | 8 | 6 | 5 | 1 | 9 | 4 | 7 | 3 |
| 3 | 7 | 5 | 2 | 4 | 8 | 6 | 1 | 9 |
| 1 | 4 | 9 | 3 | 7 | 6 | 8 | 2 | 5 |
| 9 | 6 | 4 | 7 | 8 | 1 | 3 | 5 | 2 |
| 8 | 5 | 3 | 9 | 2 | 4 | 1 | 6 | 7 |
| 7 | 2 | 1 | 6 | 3 | 5 | 9 | 4 | 8 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 1 | 6 | 4 | 9 | 7 | 5 | 3 |
| 7 | 9 | 3 | 2 | 5 | 8 | 6 | 4 | 1 |
| 6 | 5 | 4 | 1 | 3 | 7 | 2 | 9 | 8 |
| 5 | 7 | 9 | 8 | 1 | 4 | 3 | 6 | 2 |
| 3 | 6 | 2 | 9 | 7 | 5 | 1 | 8 | 4 |
| 4 | 1 | 8 | 3 | 2 | 6 | 9 | 7 | 5 |
| 1 | 4 | 5 | 7 | 6 | 2 | 8 | 3 | 9 |
| 9 | 3 | 7 | 5 | 8 | 1 | 4 | 2 | 6 |
| 8 | 2 | 6 | 4 | 9 | 3 | 5 | 1 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 3 | 1 | 5 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 |
| 5 | 6 | 9 | 4 | 1 | 7 | 8 | 3 | 2 |
| 8 | 7 | 4 | 3 | 2 | 6 | 1 | 5 | 9 |
| 4 | 8 | 5 | 2 | 7 | 1 | 3 | 9 | 6 |
| 3 | 9 | 2 | 8 | 6 | 5 | 4 | 7 | 1 |
| 7 | 1 | 6 | 9 | 4 | 3 | 2 | 8 | 5 |
| 6 | 5 | 7 | 1 | 8 | 2 | 9 | 4 | 3 |
| 1 | 4 | 3 | 7 | 5 | 9 | 6 | 2 | 8 |
| 9 | 2 | 8 | 6 | 3 | 4 | 5 | 1 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 3 | 5 | 1 | 6 | 8 | 2 | 4 | 7 |
| 8 | 4 | 7 | 5 | 3 | 2 | 6 | 1 | 9 |
| 2 | 1 | 6 | 9 | 7 | 4 | 3 | 5 | 8 |
| 7 | 9 | 1 | 3 | 5 | 6 | 4 | 8 | 2 |
| 6 | 5 | 8 | 4 | 2 | 1 | 7 | 9 | 3 |
| 4 | 2 | 3 | 8 | 9 | 7 | 5 | 6 | 1 |
| 5 | 8 | 4 | 2 | 1 | 3 | 9 | 7 | 6 |
| 3 | 7 | 9 | 6 | 8 | 5 | 1 | 2 | 4 |
| 1 | 6 | 2 | 7 | 4 | 9 | 8 | 3 | 5 |

მე-10 გვერდი: 1. პრესლი; 2. რაფინადი; 3. სინოლოგია; 4. არაქსი; 5. „რევიზორი“; 6. ქოქსაღიზი; 7. „აფონია“; 8. ოსირისი; 9. ბულონი; 10. ტვიქსი; 11. ალტრუიზმი; 12. ლაშარი; 13. ზაალი; 14. ასო; 15. ეფრემვერდი; 16. ოლღა; 17. ირტიში; 18. ირისი; 19. აბზაცი; 20. ეგიდა; 21. ინკასო; 22. მირზა; 23. დრიუ; 24. ტირიფი; 25. ამია; 26. მურატ ილდირიმი; 27. აქსესუარი; 28. რუანდა; 29. იარდი; 30. რენიე; 31. არსენალი; 32. აფროდიტე; 33. სოლ; 34. კომში; 35. ტასო; 36. სიდრი; 37. აზუა; 38. ელიტა; 39. უსტარი; 40. შენონი; 41. არვე; 42. ადამი; 43. ნოა; 44. ციანი; 45. ფერმა; 46. ტურნეფსი; 47. ედიქტი; 48. ფროიდი; 49. ფაფანაკი; 50. სინი; 51. ფლორიდა; 52. დაცანი; 53. ორე; 54. სტენდი; 55. „ტიიდა“; 56. ნაიადა; 57. ირი; 58. ორფი; 59. რა; 60. კერა; 61. მუნ; 62. ირაო; 63. პიკე; 64. ჭლექი; 65. კიი; 66. სიძე; 67. ილი; 68. „ლაციო“; 69. ჭოტი; 70. ონისე; 71. ჰაე; 72. სეული; 73. ძმარი; 74. კამორა; 75. „ჰიუნდაი“; 76. ია; 77. ექო; 78. ვო; 79. ცვილი; 80. კოკო; 81. ასიკო; 82. ლეი; 83. ბალუ; 84. იო; 85. იკაო; 86. სოს; 87. გალისია.



1. მეფე ლირის უმცროსი ასული
2. უდედ-მამო ბავშვი
3. მწერიჭამია მცენარე
4. ტიბეტის დედაქალაქი
5. ნაგვის ასაღები ნიჩაბი
6. ხეზე გაკეთებული გრავიურა
7. ბაბილონის მეფე
8. სანელებელი მცენარე
9. საავტორო გასამრჯელო
10. ბრტყელთავიანი ლითონის ჩხირი
11. მხატვრ: ფიგურების გამოსახვა პერსპექტივაში
12. კაციჭამია ველური
13. ორი ორგანიზმის ურთიერთსასარგებლო თანაცხოვრება
14. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
15. ბურატინოს იტალიელი „კოლეგა“
16. ნაბიჯი ბალეტში
17. ბავშვის სასრიალო მარხილი
18. მამალი კვიცი
19. რუსეთის ფედერაციის სუბიექტი
20. ქალაქი საფრანგეთში
21. სოფელი ონის რაიონში
22. უბედურებით სავსე ყუთის მფლობელი
23. სიყვარულის ღმერთი რომ. მით.
24. მთები ბულგარეთსა და საბერძნეთში
25. სადეზინფექციო ქიმიური ელემენტი
26. მსოფლ. ერთ-ერთი უდიდესი სტადიონი
27. ასტრონომიის მუზა
28. იტალ. ავტოსამშენებლო კომპანია
29. ზოდიაქოს ნიშანი
30. მუხის ნაყოფი
31. ძველბერძნული ორყურა ჭურჭელი
32. სამიზნე თოფის ლულაზე
33. გადამდნარი კარაქი
34. აშშ-ის ტელეპრემია
35. ბუენოს-აირესის საოპერო თეატრი
36. იაპონურ-ჩინური შაში
37. ბაბილონის მეფე, ცნობ. კანონ. კრებულით
38. შარდის გამოყოფის შეწყვეტა
39. მსხვილი რქოსანი საქონლის სადგომი
40. ფაფა ბავშვის ენაზე
41. არაბული ფლეიტა
42. სასახლე ძველ ქართულში
43. ათენის საფეხბურთო კლუბი
44. გოეთეს შედევრი
45. საჭმელი სოკოს სახეობა
46. ბურატინოს მამილო
47. საფრანგეთის საკურორტო ქალაქი
48. უკრაინელი მოკრივე და პოლიტიკოსი
49. შეჯიბრებაში მოწინააღმდეგისათვის მიცემული უპირატესობა
50. ქართველი მოჭადრაკე ქალი
51. არანამდვილი, ყალბი
52. სოფელი ყაზბეგის რაიონში
53. სუსტი ქარი, ნიავი
54. ყოფილი ბრაზილიელი ფეხბურთელი
55. კაცი - მეგრულად
56. იგივეა, რაც გაზი
57. ქართული ანბანის მეჩვიდმეტე ასო
58. მსახიობი ... სტრიპი
59. მარკ ტვენის პერსონაჟი ... სოიერი
60. თევზის ნახარში
61. ყურის ანთება
62. მოსამართლის ტიტული ინგლისში
63. ვიოლინოს მსგავსი საკრავი

# ყავა – სიმსივნისგან გიცავს



ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ყავა ანტიოქსიდანტების მნიშვნელოვანი წყაროა და თანაც, ამ ნივთიერების შემცველობა უკოფეინო ყავაშიც იმდენივეა, როგორც ჩვეულებრივში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანტიოქსიდანტებით მდიდარი პროდუქტისა და სასმელის მოხმარებას ყოველთვის არ მივყავართ ორგანიზმში მათი მაღალი შემცველობისკენ. დადებითი ეფექტი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როცა ეს ნივთიერებები კარგად შეიწოვება და აითვისება, ეს პროცესი კი, ჯერჯერობით, ნაკლებადაა შესწავლილი. ცნობილია, რომ ანტიოქსიდანტები ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, კერძოდ, ისინი გვეხმარებიან, თავიდან ავიცილოთ კიბო და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები. გამოკვლევისთვის ამერიკელმა სპეციალისტებმა გათვალეს ანტიოქსიდანტების შემცველობა ასობით პროდუქტში (ბოსტნეული, ხილი, კაკალი, სუნელები, ცხიმები, სასმელი). მიღებული ციფრები კი შეუთავსეს სტატისტიკურ მონაცემებს, თუ რომელ პროდუქტს რა რაოდენობით მოიხმარენ ადამიანები. აღმოჩნდა, რომ მათ შორის პირველ ადგილზე ყავა გავიდა და ისეთ პროდუქტს გაასწრო, როგორიცაა ჩაი, რძე, შოკოლადი. მართალია, ერთი ულუფა ფინიკი უფრო მეტ ანტიოქსიდანტს შეიცავს, მაგრამ პოპულარობით ყავას ვერ გაუტოლდება.

# „წითელი ჯვარი“ სისხლს ბენზინზე ცვლის



ამერიკის შეერთებულ შტატებში დონორული სისხლის დეფიციტია და ამერიკულმა „წითელმა ჯვარმა“ დონორების მოზიდვის ახალი გეგმა შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც სისხლის ჩამბარებელს სხვადასხვა საჩუქარს, მათ შორის უფასო ბენზინს სთავაზობენ. „წითელი ჯვრის“ წარმომადგენელთა განცხადებით, ასეთი შეთავაზება საწვავზე მაღალი ფასითაა განპირობებული, რომელიც ამერიკის ზოგიერთ რეგიონში 4 დოლარსაც კი აღწევს. იმისთვის, რომ აშშ-ში ადამიანი სისხლის დონორი გახდეს, აუცილებელია, მისი სხეულის მასა 50 კილოგრამზე მეტი იყოს, არ სჭირდეს ქრონიკული ინფექციური დაავადებები და არ იღებდეს სამკურნალო და ნარკოტიკულ პრეპარატებს. სისხლის ჩაბარებამდე ბევრი წყალი უნდა დალიოს, კალორიული საკვები მიიღოს და კარგად გამოიძინოს.


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com


# ჩაახრამუნეთ ყავა



საუბარი, ყავის მარცვალზე კი არა, ჩიფსზეა, რომელიც კოფეინს შეიცავს — თუ დილით სამსახურში ისე მიგეჩქარებათ, რომ ყავის დალევას ვერ ასწრებთ, შეირბინეთ სუპერმარკეტში და ყავიანი ჩიფსი იყიდეთ — ის არომატულ სასმელს ნამდვილად შეგიცვლით, რადგან თქვენს ორგანიზმში სწორედ იმდენი კოფეინი მოხვდება, რამდენსაც ერთი ფინჯანი ყავა შეიცავს (149 მგ.). კალორიებიც მკაცრად დათვლილია და მხოლოდ ის ნაკლი აქვს, რომ სამწუხაროდ, ნამდვილი ყავის არომატსა და სურნელს ვერ გაგრძნობინებთ.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | 8 | | 4 | | 1 | | |
| 1 | | | | 5 | | | | |
| 5 | | | 2 | | 6 | 9 | | |
| 3 | | 2 | 5 | | | | | 4 |
| | | | | | | | | |
| 8 | | | | | 1 | 2 | | 6 |
| | | 1 | 4 | | 5 | | | 9 |
| | | | | 3 | | | | 8 |
| | | 5 | | 6 | | 3 | | 1 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | | 1 | 2 | | | |
| | | | 9 | 7 | | | | 1 |
| | | 1 | | | | | | 4 |
| | 9 | | 7 | 8 | | | | 3 |
| | 6 | | 4 | 2 | 1 | | 5 | |
| 5 | | | | 3 | 9 | | 2 | |
| 8 | | | | | | 4 | | |
| 7 | | | | 4 | 3 | | | |
| | | | 2 | 9 | | | 6 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | 5 | | | 2 | |
| | 5 | | | 9 | | 4 | | |
| 4 | | | 2 | | | 9 | | |
| | | 4 | 7 | | | | | |
| | 9 | 6 | 8 | | 5 | 2 | 7 | |
| | | | | | 6 | 5 | | |
| | | 8 | | | 2 | | | 9 |
| | | 7 | | 8 | | | 1 | |
| | 1 | | | 6 | | | 3 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | 2 | | 4 | | 9 |
| | | | | | 7 | | | 5 |
| 9 | | 4 | | 5 | | | 3 | |
| 3 | | | | | | 7 | 2 | 1 |
| | | | 2 | | 1 | | | |
| 1 | 5 | 2 | | | | | | 4 |
| | 2 | | | 6 | | 5 | | 3 |
| 6 | | | 5 | | | | | |
| 5 | | 7 | | 8 | | | 4 | |



## ევროპელ კაცებს ქვედაბოლოს ჩაცმა სურთ

ყველაზე უკომპლექსო ევროპელი მამაკაცები გაერთიანდნენ ასოციაციაში, რომელიც „სექსუალური ორიენტაციის ან რაიმე ფეტიშიზმისგან დამოუკიდებლად“, ქვედაბოლოების ჩაცმის უფლებისთვის იბრძვის. ამ ასოციაციის წევრები ზოგჯერ თავს უფლებას აძლევენ, კაბითა და კოლგოტით იარონ, — წერს ერთ-ერთი ფრანგული გამოცემა. ამ მამაკაცების ძირითადი მიზანია — მიიღონ სიამოვნება და თავი კომფორტულად იგრძნონ. გაერთიანება Hommes en jupe (მამაკაცები კაბებში) შარშან, ივნისში შეიქმნა და ჯერჯერობით სამ ათეულ წევრს ითვლის. ისინი სიამოვნებით საუბრობენ ინტერნეტში სამოსზე, მამაკაცების ემანსიპაციაზე, მარტოობაზე... ასოციაციის ხელმძღვანელი, 39 წლის დომინიკ მორო აცხადებს, რომ მისი წევრები ცირკის მასხარები არ არიან, უბრალოდ, დღეს მსოფლიოში 2 მილიონამდე მამაკაცი სრულიად მშვიდად დადის ქვედაბოლოებში და ჩვენც უნდა შეგვეძლოს ამის გაკეთებაო. სამხრეთ აზიაში — სარონგი, პოლინეზიაში — პარეო, აფრიკაში — ჯელაბა, ეს კაცების ტანსაცმელია. დასავლეთშიც, საუკუნეების განმავლობაში ძლიერი სქესის წარმომადგენლები ატარებდნენ კაბასა და ქვედაბოლოს. მოროს გარდერობშიც ათობით კაბაა — ზაფხულისთვის მოკლე, ზამთრისთვის კი გრძელი, მის შიგნით სქელ კოლგოტსაც იცვამს, თმიანი ფეხი რომ დამალოს და თან თბილადაც იყოს, თუმცა ამ სამოსის ჩაცმა მხოლოდ თავისუფალ დროს შეუძლია, რადგან ჩინოვნიკია და სამსახურში კაბით ვერ გამოცხადდება — დასავლური საზოგადოება ამ საკითხში ჯერ კიდევ ძალიან კონსერვატიულია.

## ალიმენტის გადახდა ცოლს დაავალეს



აშშ-ს ვისკონსინის შტატის უმაღლესმა სასამართლომ დააკმაყოფილა მამაკაცის სარჩელი, რომელიც ითხოვდა, ყოფილ ცოლს ათი წლის განმავლობაში მისთვის იმდენი თანხა გადაეხადა, რითაც შეძლებდა, ისე ეცხოვრა, როგორც თანაცხოვრებისას. სასამართლოს გადაწყვეტილებით, როუზ შტეინმენს დაევალა, ყოფილ ქმარს ალიმენტის სახით 2 ათასი დოლარი გადაუხადოს, რათა უზრუნველად იცხოვროს. აღსანიშნავია, რომ როუზის ექსმეუღლე ტონი საკმაოდ მაღალ ხელფასს იღებს და წელიწადში 85 ათას დოლარს შოულობს. სასამართლოს გადაწყვეტილება იმით იყო განპირობებული, რომ ვიდრე შტეინმენები დაქორწინებულები იყვნენ, ტონი როუზის კომპანიაში მუშაობდა, განქორწინების შემდეგ კი სამსახურიდან დაითხოვეს.

## ახალი ქსოვილი სხეულს აახალგაზრდავებს



საფრანგეთში მალე გამოჩნდება მაისურები და კოფთები, რომლებიც ადამიანის სხეულს უფრო მოხდენილს გახდის, კანს დაატენიანებს და მასაჟსაც გაუკეთებს. ასეთი სამოსი, ჩვეულებრივთან შედარებით, 10%-ით ძვირი ელირება და ე.წ. კოსმეტიკური ანუ მაფიქრალი ქსოვილისგან შეკერავენ. ტექნოლოგია ძალიან მარტივია: მეცნიერები ქსოვილზე განათავსებენ სპეციალურ მიკროსკოპულ კაფსულებს, რომლებიც მკვებავი და კოსმეტიკური ნივთიერებებით იქნება გავსებული. კანთან ხახუნისას ქსოვილის კაფსულები გასკდება და მისი შიგთავსი კანზე მოხვდება.

## ჯარიმა გახეთქილი პრეზერვატივისთვის



საფრანგეთის სასამართლომ ქალაქ ტავერნის მუნიციპალიტეტის მრჩეველს 9 ათასი ევროს გადახდა დააკისრა იმის გამო, რომ 11-მეტრიანი გასაბერი პრეზერვატივი გახეთქა, რომელიც შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად იყო გამოფენილი. ალექსანდრ სიმონო საზოგადოების საკუთრების დაზიანებისთვის დამნაშავედ სცნეს და ათასევროიანი ჯარიმაც დააკისრეს, 818 ათასი ევრო კი მორალური ზიანის ასანაზღაურებლად უნდა გადაიხადოს. როგორც ზნეობისთვის მებრძოლი სიმონი აცხადებს, სასამართლოს გადაწყვეტილებას აუცილებლად გაასაჩივრებს, იმ დღეს კი, არ შემეძლო შიდსთან ბრძოლის ის გიგანტური სიმბოლო ქალაქის მთავარ მოედანზე გამოკიდებული დამეტოვებინა, სადაც უამრავი ბავშვი დაიარებაო. მუნიციპალიტეტის მრჩეველი მოსამართლის ვერდიქტმა ვერ შეაშინა და აცხადებს, რომ არც შემდეგში დაჯდება გულხელდაკრეფილი, თუ მერია „მსგავს პროვოკაციას“ გაიმეორებს.

ტელეკომპანია „თრიალეთი“
რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით
032 239 38 23
599 25 13 31
www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge
თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

# შსს-მ პოლიციელის დღე ბათუმში აღნიშნა



ოფიციალურ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც სამართალდამცველებს სიტყვით მიმართა და პროფესიული დღე მიულოცა. შს მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემ თანამშრომლებს პოლიციელის დღე მიულოცა და პირადად დააჯილდოვა მოქმედი პოლიციელები და შსს-ს ვეტერანები.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის წევრები, პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ოფიციალური დელეგაციები პარტნიორი ქვეყნებიდან: ბელორუსიდან, ლატვიიდან, სომხეთიდან და თურქეთიდან.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა, სტუმრებთან ერთად, დაათვალიერეს საგამოფენო სივრცე, სადაც შსს-ს დანაყოფებმა თავიანთი ავტოპარკი, ტექნიკა, იარაღი და აღჭურვილობა წარმოადგინეს.

პოლიციის დღესთან დაკავშირებით, ბათუმის ბულვარში გაიმართა სანახაობრივი წარმოდგენები: ვირტუალური ტირი, საპატრულო პოლიციის მოტოციკლებისა და ავტომანქანა „მინი კუპერის“ ტექნიკური შესაძლებლობების პრეზენტაცია, მართვის მოწმობის თეორიული და პრაქტიკული გამოცდების ჩვენება, სამაშველო, გასაბერი, საევაკუაციო ბალიშის გამოყენების დემონსტრირება.

პოლიციის დღე ბენდ „ნიუტონის“ კონცერტით დასრულდა.














**ვერსია**

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.